პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქციის მიღება ყოველ დღე 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 39. კვირა, 6 ნოემბერი 1905 წლისა. № 39.

გურიის აწიოკებულ-აოხრებულ ოჯახების სასარგებლოთ „მოგზაურის“ რედაქციაში გამართულია ხელის მოწერა.

კვირას, 6 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ნაძალადევში მოხდება

სახალხო მიტინგი

შესახებ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობისა

თფილისის ს. დ. მუშათა ორგანიზაცია.

შინაარსი: განსაცდელის აცდენა.—რევოლიუცია და პროლეტარიატი, ფ. —ისა.—სხვა და სხვა ამბები.—შლისელბურგის პატიმრები.—კორესპონდენციები.—როგორ მიეგება ბაქო „კონსტიტუციას“ კ.-კისა.—რუსეთი.—კომმუნისათვის დახოცილები, ა. არნუსი (თარგმანი).—ცეცხლი თადა მახვილითა, გ. —სა.—ეროვნული ავტონომია და მუშათა კლასსი, ფ. მ—ს.—„ბუნტი“ კრონშტადტში.—ყურნალ-გაზეთებიდან.—კაუმანის დასაფლავება.—მიტინგები ყარსში.—დონის როსტოვის საპყრობილედან.

განსაცდელის აცდენა.

გურიას დღეს აცდა განსაცდელი! მთელი სამხედრო რაზმი, რამდენიმე ათასის ჯარის კაცისავან შემდგარი, ზარბაზნებით, ტყვიის მტყორცნელი მთელი როტით და ყოველგვარი საომარი წესის იარაღებით შეჯურვილი, რომლის უფროსს, გენ. ალიხანოვს, მინიჭებული ჰქონდა ყოველგვარი განსაკუთრებული უფლებები დახვრეტა-ჩამოხრჩობამდის, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა გურიაში ყოველივე მოესპო და გაენადგურებია და რომელიც უკვე სიჩქარით მიეშურებოდა დანიშნულს ადგილისაკენ, აი ეს რაზმი, მთავრობისავე ბრძანებით ისევ უკან უნდა დაბრუნდეს! რა მოხდა? რამ გამოიწვია ან პირველი ბრძანება, ან მისი უკან წაღება? გურიაში აღარ უნდა ჩაიყვანონ ჯარი, იგი აღარ უნდა გახადონ ცეცხლის და მახვილის მსხვერპლათ, ქუთაისის გუბერნიაში უნდა მოიხსნას საომარი დროის წესები, ჭართლიდან უნდა გამოიყვანონ ეგზეკუცია! ნუ თუ ადმინისტრაციას გული აუყუჩდა და მათში უდანაშაულო ხალხის სისხლის დანთხევის გამო სიბრალულის გრძნობა დაიბადა! ან შეიძლება ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ თავხედი გურია დამშვიდდა, რომ იქ ჩაქრა რევოლიუციის ცეცხლი, რომ გურული ხალხი შეურიგდა მეფის მთავრობას? არა და არა! განა გულჩვილი და ნაზი გრძნობის ადამიანი უიარაღო ხალხს, ბავშვებს და დედაკაცებს, ომს გამოუცხადებდა? სად ზარბაზნები და ტყვიები, სად სახჩობელა და დ-ხვრეტა, და სად სიბრალული! ან შეიძლება გურია მართლა დამშვიდდა და იქ რევოლიუციის ცეცხლი მართლაც ჩაქრა, და მთავრობაც შეურიგდა, გურია «კეთილსაიმედო» კუთხეთ ცნო? არა და არა! არც ერთი და არც მეორე. მაშ რა მოხდა? ასეთი მზადებით, ასეთი ბაქი-ბუქით გაგზავნილი ჯარი რა მოსაზრებით, რა მიზეზით გამოიხმეს ისევ უკან? მთავრობამ კარგათ იცის, რომ გურიაში რევოლიუციის ცეცხლი არ ჩამქრალა, რომ ჯარის უკან გამოწვევით, ეს ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდება, და თუ იგი «ოფიციალურათ» აცხადებს, რომ ჯარს უკან ვაბრუნებთ, ვინაიდან გურია უკვე დამშვიდდა და დღეს იარაღის ხმარება მის წინააღმდეგ საჭირო აღარ არის, ეს ისე სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი.

ჯარის დაბრუნება გამოიწვია ხალხის აღშფოთებამ. ჩვენ გასული კვირის ნომერში ვწერდით, რომ დღეს ხალხის ქლეტა-ამოხოცვა ისე აღარ მოხდება, როგორც წინეთ ხდებოდა. გურიის განსაცდელმა ფეხზე დააყენა თითქმის მთელი კავკასიის მშრომელი ხალხი, განსაკუთრებით კი მისი მოწინავე რაზმი—რევოლიუციონური პროლეტარიატი. ყოველ კუთხეში ელვასავით გაისმა ხმა რომ, გურიას, იმ გურიას, რომელმაც გაბედულათ აღმართა ძმობის, თანასწორობის და თავისუფლების დროშა, ამოჟლეტას, მოსპობას და განადგურებას უქადიანო! ამ ამბის გამო ყველა ქალაქებში, ყველა დაბა-სოფლებში სახალხო მიტინგები და კრებები გაიმართა, და ყოველგან თითქმის ერთნაირ გადაწყვეტილებას ადგებოდენ, ე. ი. გურიას დაეხმარონ, გურიის წინააღმდეგ ომის გამოცხადება,—ეს მთელი კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას ნიშნავს. და თუ მთავრობა ამ გზას დაადგება, ხალხს სხვა აღარა დაურჩებაარა, თითონაც იმავე გზას დაადგეს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მიღებულ იქმნა მხედველობაში. მთავრობა არ მოელოდა, რომ გურიის ამბავი, რევოლიუციის საერთო საქმეთ იქნებოდა მიღებული. მას კიდევ ძველი დრო ეგონა, ძველი წესით უნდოდა საქმის გაკეთება. ჯერ თავის განზრახვას შეასრულებდა, ხალხს ამოხოცავდა და გაანადგურებდა. და მერე უქვეშევრდომილეს მოხსენებას დაწერდა, რომ აჯანყებული ხალხი დავამშვიდე და ამისთვის ჯილდო მერგებაო. მაგრამ მას მოლოდინი გაუცრუვდა. სანამ იგი თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგებოდა, ხალხი ფეხზე დადგა და შესაფერ მზადებას შეუდგა. ამნაირათ გურიის საქმე მთელი მოძრაობის საქმეთ გადაიქცა, და ამას რამდენიმეთ თვით მთავრობამ შეუწყო ხელი თავისი ძველი ზომების წყალობით. მთავრობა დარწმუნდა, რომ იგი დაადგა მეტათ სახიფათო გზას, მან დაინახა, რომ გურიაში ჯარების გაგზავნით მან ფეხზე დააყენა მთელი მშრომელი ხალხი, და ეს მის სასარგებლოთ აღარ გათავდებოდა. ამნაირათ, როგორც ხედავთ, გურიას დღეს განსაცდელი აც-

და, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რევოლიუციონურ მოძრაობასა და მთავრობის შორის რაიმე მორიგება მომხდარიყოს, და ერთ ან მეორეს იარაღი დაეყაროს. პირიქით, ეს მხოლოთ დროებითი ზავია.

პროლეტარიატი და რევოლიუცია.

I.

გამოუთქმელი ტანჯვით და ვაებით, მედგარი და შეუწყვეტელი ბრძოლით რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი დღეს დღესასწაულობს პირველ გამარჯვებას რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობაზე. დღეს, როცა მდგომარეობა და ფაქტები წარმოუდგენელი სისწრაფით და სიჩქარით იცვლებიან, როცა თითქმის თითოეული საათი, და შეიძლება წამიც, უდრის მთელ წლებს და ათეულ წლებს, დრო არ არის პროლეტარიატის წარსული ბრძოლაზე ვილაპარაკოთ. ამ ჟამათ საჭიროა თვით დღევანდელ პირობებს მივაქციოთ ყურადღება, დავაფასოთ და ავწონ-დავწონოთ, რამდენათაც კი შეგვიძლია, ის ფაქტები და ის მოვლენები, რომლებიც ასეთი სისწრაფით იცვლებიან და ვითარდებიან. რასაკვირველია, ჩვენ აქ გვერდს ავუვლით იმ დუხჭირ და უმსგავს მოვლენებს, რომლებიც ბნელი ძალების, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაძირალა ელემენტების მოქმედებას შეეხება. ყოველივე ეს თან ყვება ყოველთვის საზოგადოებრივ რევოლიუციებს, ყველა ძირითად ცვლილებებს საზოგადოებრივი წესწყობილებისას. დღეს აუცილებელი საჭიროა გავითვალისწინოთ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილი განწყობილება, გამოვიტანოთ სინათლეზე იმათი რეალური ძალები, იმათი ტაქტიკა და ამათი მისწრაფებები. თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩვენი თვალთახედვის ისარი აქ არის კლასობრივი ბრძოლა.

მართალია, როგორც ერთ ადგილას შენიშნავს ფრ. ენგელსი, ყოველდღიური მიმდინარე მოვლენების დაფასების დროს შეუძლებელია იმათი ღრმანასკნელი, ეკონომიური მიზეზების გამოძებნა *), მაგრამ თუ ჩვენ გვინდა იმის გაგება, რაც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, მხოლოდ ამ მიზეზებს უნდა მივმართოთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თუმც რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია პროლეტარიატის თავგანწირული ბრძოლის ნაყოფია, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ დღევანდელი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, ე. ი. მას უნდა მოყვეს ბურჟუაზიული წესწყობილების განმტკიცება, ბურჟუაზიის სრული გაბატონება. ამ მხრით რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია გავს საფრანგეთის 1789 წ. ბ გერმანიის და ავსტრიის 1848 წლის რევოლიუციებს, მაგრამ განსხვავებაც არის. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ როცა 1789 და 1848 წელს ბურჟუაზია საკმარისად მომზადებული იყო თავის ინტერესების დასაცავათ და პროლეტარიატს კი თითქმის სულ არ ჰქონდა გათვალისწინებული თავისი კლასობრივი ინტერესები, დღეს მდგომარეობა შეიცვალა: რუსეთის პროლეტარიატმა გამართა დიდი სკოლა, მისთვის უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ერთი სიტყვით, რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატი დღეს შეგნებულ და გაცნობიერებულ მასსას წარმოადგენს. ამიტომ თუ 1789 წ. და შემდეგ პროლეტარიატს ატყუებდენ და ღალატობდენ სხვადასხვა გაბატონებული კლასები, დღეს ეს აღარ უნდა მოხდეს. პროლეტარიატი, რასაკვირველია, არ ოცნებობს დღესვე ბურჟუაზიული წარმოების გაუქმებას და სოციალისტური წესწყობილების განხორციელებას. დღევანდელი მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის უზრუნველ-ყოფილი იქმნენ ისეთი პირობები, რომლებშიაც მას ეუადვილდება მთელი შრომელი ხალხის მომზადება დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების გასაუქმებლათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ. დღევანდელი პოლიტიკური ბრძოლა ტრიალებს მხოლოთ ამ კითხვის გარშემო. ეს ბრძოლა არ შეწყდება, სანამ დღევანდელი მთავრობის ადგილს ნამდვილი დემოკრატიული მთავრობა, ე. ი. თვით ხალხის მიერ არჩეული მთავრობა არ დაიჭერს. თუ რა საფუძველზე აშენდება ახალი მთავრობა, ეს დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ძალების ურთიერთ განწყობილებაზე, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში იმ გარემოებასაც, რამდენათ შეგნებული აქვთ თავის როლი და მნიშვნელობა, საზოგადოებრივ მომქმედ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს, და რამდენათ მართლათ აფასებენ თავის ძალებს. ახლა განვიხილოთ, რაც შეიძლება მოკლეთ, ამ ჟამათ რუსეთში მომქმედი, უკვე გამოწყობილი, პოლიტიკური პარტიები, და აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ დღეს ეწყობიან და სამოქმედოთ ემზადებიან.

პირველათ აქ ჩვენ უნდა შევჩერდეთ მთავრობის რეაქციონურ ძალებზე. რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობამ თავის ხანგრძლივ არსებობის დროს შექმნა და გააძლიერა მის მომხრეთა და დამცველთა ჯგუფები. მთავრობის პოლიტიკის გასაყვანათ და განსამტკიცებლათ საჭირო იყო აუარებელი მოხელეები—ჩინოვნიკები; ამათ განკარგულებაში იყო და დღემდის არის რამდენიმე მილიონი ჯარი და ფლოტი. რა თქმა უნდა, ესენი საკუთარ პოლიტიკურ პარტიას როდი წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ყოველ წამში მზათ არიან დაიცვან ძველი თვითმპყრობელობა და ემსახურონ მთავრობის რეაქციონურ, უკან წამწევ, პოლიტიკას. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ძველი მთავრობა ჯერ კიდევ ფეხზეა, ჯერ კიდევ ხალხის ბედს განაგებენ ის პირები, რომლებიც დღემდის თვითმპყრობელობის ნამდვილი იარაღი იყვენ. სანამ მინისტრების, გუბერნატორების და სხვა მოხელეების დანიშვნა ძველი წესით ხდება, სანამ მთელი ქვეყნის სამხედრო ძალას, ე. ი. ჯარს და ფლოტს ძველი მთავრობის აგენტები განაგებენ, და ხალხს არ აქვს თავისუფალი მილიციის შედგენის უფლება, რეაქციისათვის ყოველთვის შესაძლებელი იქნება მოპოებული თავისუფლება გათელოს და დროებით ძველ წესწყობილებას ჩაუვარდეს ხელში ხალხის ბედ-იღბალი. თუმც ჩვენ ეს დღეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, მაგრამ პროლეტარიატმა არასოდეს არ უნდა დაიკიწყოს, რომ რეაქციის მომხრეებს ყოველთვის მომზადებული აქვთ მისთვის ხაფანგი. ამიტომ უწინარეს ყოვლისა ძველი მთავრობის სრული გაუქმებაა საჭირო. ჯერ კიდევ მას არ დაუკარგია იარაღი, იგი კიდევ ფიქრობს თუ სრულებით გამობრუნებას არა, სანახევროთ მაინც. ამ მიზნით ძველი მთავრობა იცვლის თავის გარეგან კანს და გამოდის ვითომც და „საზოგადოების კეთილმოაზრე უმრავლესობის“ სახელით. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან მთავრობა იმოქმედებს ხალხის უმრავლესობის სახელით. მაგრამ ვინ არის ეს უმრავლესობა, და რა გზით უნდა მთავრობას მისი ინტერესების დაცვა?

დღევანდელი სახელმწიფო კლასობრივი სახელმწიფოა. აქ მთავრობა გაბატონებულ კლასების ორგანოა ხალხზე თავისი ბატონობის შესანარჩუნებლათ. რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია არ სპობს საზოგადოების კლასებათ დაყოფას, ე. ი. არ უდებს ბოლოს პროლეტარიატის გაუკლეფას, ექსპლუატაციას. ამიტომ მთავრობაც გაბატონებულ კლასების

*) Маркс. Классовая борьба во Франціи—წინასიტყვაობა.

ორგანოა, ე. ი. იმათი ინტერესების დამცველი. მაგრამ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა თავისი იერიშით თავზარი დასცა როგორც მთავრობას, ისე თვით გაბატონებულ კლასებსაც, და აი დღეს, როცა რევოლიუციის ცეცხლი პროლეტარიატის მიერ ანთებული, მთელ რუსეთს მოედვა, და მთელი ძველი რეჟიმი ლამის არის შთანთქას და გააქარწყლოს, მთავრობა ზოგიერთ თავის უფლებებზე ხელს იღებს და იმავე დროს პროლეტარიატთანაც დაძმობილებას აპირებენ და მეგობრობას პირდებიან თვით ბურჟუაზიული პარტიებიც. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: სად იყვნენ აქამდის? განა თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება კრების და კავშირის, პიროვნების ხელშეუხებლობა დღეს არის საჭირო, და წინეთ კი არა? სად იყო და რას ფიქრობდა მთავრობა მაშინ, როცა ნებადაურთველათ შეკრებისათვის და თავისუფალი სიტყვისათვის ჩვენ ამხანაგებს, ჩვენ ძმებს და დებს ციხეში ალპობდა და აციმბირებდა და ტყვიით და მათრახით უმასპინძლდებოდა? სად იყვენ ბურჟუა-ლიბერალები მაშინ, როცა რუსეთის პროლეტარიატი დამცირებული და შეწუხებული, მშიერი და მწყუროვალი, თავის ბნელ სარდაფებში, ჭუჭყიან სადგომებში, მოკლებული ყოველგვარ საშუალებას, ჩაყენებული აუტანელ პირობებში, ტიტანისებურ შრომას ეწეოდა მთელი რუსეთის ხალხის განსათავისუფლებლათ მრავალ საუკუნოების მონობის ბორკილებისაგან. და აი როცა მუშა ხალხმა ყველას აშკარათ დაუმტკიცა, თუ რა ძალას წარმოადგენს ერთი გრძნობით და ერთი სურვილით გამსჭვალული პროლეტარიატი, აი სწორეთ ამ დროს ერთი მხრით მთავრობა და მეორე მხრით ბურჟუა-ლიბერალები მუშებს რაღაცას უთმობენ და თანაგრძნობასაც უცხადებენ! გრაფ ვიტტეს მთავრობამ, მაგ., მთელ რუსეთის პროლეტარიატს 20 დეპუტატის არჩევისუფლება მისცა იგრეთ წოდებულ სახელმწიფო სათათბიროში. ასეთი დათმობა მეფის მთავრობასაც შეეძლო. ეს ჩვენთვის საჭირო არ არის. ჩვენთვის საჭიროა მთელი რუსეთის პროლეტარიატის გაერთიანება და ერთი დროშის ქვეშ შეერთება. აი რისი იმედი გვაქვს, აი საით უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალღონე. ჩვენ ერთხელაც არ ვულალატებთ ჩვენ ლოზუნგს: მუშა ხალხის განთავისუფლება თვით მუშების საქმეა, და სხვისი არავისი.

სხვა და სხვა ამბები.

ყაზახ-რუსებისაგან აკლებულ და აოხრებულ ოჯახების სასარგებლოთ ვ. გადილიას წიგნის მალაზიისაგან ჩვენ მივიღეთ 5 მან.

— მკითხველებმა იციან, რომ ამ ერთი კვირის წინათ, გურიის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა და გურულების წინააღმდეგ მთელი ლაშქარი იგზავნებოდა ოზურგეთის მაზრაში. საბედნიეროთ, საქმე ჯერ-ჯერობით, სასურველათ გათავდა. ქუთაისის გუბარნატორმა, ბ. სტაროსელსკიმ, რომელიც თითონ იყო გურიაში და ადგილობრივ გამოიძია გურულებსა და ყაზახების რაზმს შორის მომხდარი შეტაკების მიზეზი, ნამესტნიკს დაწვრილებით აუხსნა საქმის მდგომარეობა. ნამესტნიკმა განკარგულება მოახდინა ქუთაისსა და ოზურგეთის მაზრაში სამხედრო წესების გაუქმების და გაგზავნილი ლაშქარის უკანვე დაბრუნების შესახებ.

— 2 ნოემბერს პეტერბურგში საერთო პოლიტიკური გაფიცვები დაიწყო, გაიფიცენ უმთავრეს ქარხანა-ზაეოდების მუშები, რკინის გზის მოსამსახურეები, ასოთ-ამწყობები და სხ. პეტერბურგის გაფიცვას სხვა ქალაქების მუშებიც აძლევენ ბანს.

— ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, ტფილისის მიწერ-მოწერლთა-სასწავლებლის მოწაფეებს კრება ჰქონდათ სახწავლებლის ეზოში. კრებამ დიდის უმრავლესობით გადასწყვიტა: განაგრძოთ გაფიცვა, სანამ არ იქნება მოწვეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით; მხოლოდ ასეთ კრებას ძალუძს მთელი სასწავლებლის ძირიან-ფესვიანად გადაკეთება და გაახლებაო. არჩეულ იქმნა აგრეთვე სამი დელეგატი, რომლებმაც კავშირი უნდა იქონიონ სხვა სასწავლებლების წარმომადგენლებთან და მათთან ერთად ესა თუ ის ტეხნიკური კითხვები გაითვალისწინონ (ივ.).

— ამ დღეებში ტფილისის პოლკის ოფიცრებს კრება ჰქონდათ, რომ გამოერკვიათ, 22 ოქტომბერს სისხლის ღვრაში ვინ იყვნენ დამნაშავენი. ოფიცერთა ერთმა ჯგუფმა განაცხადა: სისხლის ღვრაში დამნაშავენი არიან თვით დაზარალებულნი, რადგან ქვებისა და რევოლვერების სროლით ჯარი გამოიწვიეს, რომ იარაღი ეხმარათ. ოფიცერთა მეორე ჯგუფი იმ აზრისა იყო, რომ სისხლის ღვრა გამოწვეულ იქმნა პატრიოტების პარტიის წევრებისგან და ყოველ შემთხვევაში ჯარს, არც სხვას არაფერი ევნებოდა ხალხისაგან, რომ ჯარს იარაღი არ ეხმარა. კრებაზე აირჩია კომისია, რომელიც სისხლის ღვრის ამბების თვალით მნახველთ ჩვენებას ჩამოართმევს და ამ საგნის შესახებ ოფიცერთა კრებას თავის მოხსენებას წარუდგენს (ივ.).

— უქმდება კავკასიის პოლიციის გამგის გენ. შირინკინის კანცელარია და პოლიციის გამგის თანამდებობა.

— სამტრედიაში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. ჯარიკი ჩაიყვანეს, მაგრამ საქმაო სურსათი არ მიაწოდეს. ეხლა, ჯარი უსურსათოთ დიდ გაჭირვებაშია. სალდათებს შორის უკმაყოფილებაა თურმე. შეიძლება დიდი უბედურება მოხდეს და ჯარმა ჯავრი მშვიდობიან მცხოვრებლებზე იყაროს.

— 3 ნოემბერს, გრაფმა ვიტტემ დეპეშით აცნობა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს, რომ სრულიათ კანონიერია ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსის შენიშვნა იმის შესახებ, რომ თქვენ, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფთ, 17 ოქტომბრის მანიფესტი არ შეგეხებათ და, მაშასადამე, არც ნება გაქვთ საერთო მოთხოვნილებათა შემუშავებისაო. გრაფი ვიტტე ურჩევს მოხელეებს, სევასტიანოვის განკარგულებას დაემორჩილონ და მოსკოვის ბიუროში მონაწილეობა არ მიიღონ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები, როგორც ვიცით გრ. ვიტტეს განმარტებას ყურადღებას არ აქცევენ და მათი კანონიერი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო გაფიცვით ემუქრებიან მთავრობას.

— თჳ. საბჭოს ხმოსანმა ბ-ნ სვეშნიკოვმა განცხადება შეიტანა, საბჭო მიემხროს კავშირთა კავშირის მოთხოვნილებას სრული ამნისტიის შესახებაო.

— სხვა რეფორმებთან ერთათ უქმდება ჟანდარმთა საგუბერნიო გამგეობებ.

— პეტერბურგში გამოვიდა ახალი ყოველდღიური, პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „Новая Жизнь“ (ახალი ცხოვრება). გაზეთს სათავეში ჰყენია ცნობილი სოციალ-დემოკრატები უდგანან. მუდმივათ თანამშრომლობენ: ნ. ლენინი, ა. ბოგდანოვი, ა. ლუნაჩარკი, პ. მასლოვი, ვ. ბაზაროვი, მ. გორკი, ლ. ანდრეევი, ბუნინი, ვერესაევი და სხვა გამოჩენილი მწერლები.

— პეტერბურგშივე ნოემბრის პირველ ნახევარში გამოვა მეორე სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „Начало“ (დასაწყი-

სი) აკსელროდის, პლეხანოვის, პავლუსის, სტაროვერის, მარტოვის და სხვა ცნობილ სოციალ-დემოკრატების მუდმივ თანამშრომლობით. რედაქცია ასე ახასიათებს, გაზ. „Начало“-ს თავის განცხადებაში:

„ჩვენი გაზეთი — რევოლიუციონური პროლეტარიატის ორგანოა.

რუსეთის პროლეტარიატმა თავისუფალი სიტყვის ასპარეზი გაგვიხსნა თავისი განწირული ბრძოლით—ჩვენ კი ვეცდებით ჩვენი თავისუფალი სიტყვით სამსახური გავუწიოთ რუსეთის პროლეტარიატს. ჩვენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამის ნიადაგზე ვდგევართ. ჩვენი მიზანია—რევოლიუციონურ ბრძოლაში წინ წავიყვანოთ მშრომელი კლასები; ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს ვერავითარი დათმობა და ყოველივე გამარჯვებას ჩვენ მოვიხმართ რევოლიუციონურ ლაშქარის გასამტკიცებლათ და რევოლიუციონურ მოთხოვნათა გასაფართოებლათ. გაყვლეფილ მასსაში შეგნების გაღვივება, სულიერი კავშირის დამყარება ასეთი მასსების შორის და ყველა ისეთი ადამიანების შემოერთება, რომელნიც გამსჭვალულნი არიან იდეური და პატიოსანი გრძნობებით და მამაცი აზრებით—აი საშვალებანი ჩვენი ბრძოლისა.

რუსეთის პროლეტარიატი მთელი ქვეყნის სოციალისტური და რევოლიუციონური ლაშქარის მოწინავე რაზმი შეიქმნა. ჩვენ რუსეთის პროლეტარიატის გზირობას ვკისრულობთ მისი გათავისუფლების ბრძოლის საქმეში და ამასთანავე მთელი ქვეყნის დაჩაგრულ კლასთა ინტერესებს ვემსახურებით. ჩვენ ბრძოლას ხმას აძლევს იმათი ბრძოლა, რომელიც, თავის მხრით, დიდ გავლენას იქონიებს ჩვენი გამარჯვების საქმეზე. გაუმარჯოს თავისუფალ სიტყვას.

— სადგ. ძირულაში, 2 ნოემბერს, სამხედრო მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა. ამ ამბის გამო შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გვატყობინებენ: რკინის გზის მოხელე-მოსამსახურეები გაფიცულნი იყვნენ. მატარებლებზე რკინის გზის ბატალიონის ჯარის კაცნი მუშაობდენ. 2 ნოემბერს, 4 საათზე, სადგურ ბელაგორიდან ძირულაში გაისტუმრეს სამხედრო მატარებელი. ამ მატარებელს უკანვე დაადევნეს მეორე სამხედრო მატარებელი; სწორეთ იმ დროს, როდესაც ძირულიდან უნდა დაძრულიყო პირველი სამხედრო მატარებელი, უკანიდან დაეჯახა მეორე მატარებელი. დაიმტვრა თხუთმეტი ვაგონი და ერთი ორთქლმავალი, 25 ჯარის კაცი დაშავდა და 8 მოკვდა. ამ უბედურების დროს სალდათებს და მათ მბრძანებლებს ეგონათ, რომ ეს-ეს არის დაგვეცნენო, და მახლობელ სოფელს თოფები დაუშინეს. მცხოვრებთაგან მოკლულია ორი. დაჭრილია ოთხი. ფიქრობენ, რომ ამ სოფელს დიდი უბედურება მოუვიდაო. (ივ.)

— ქ. ნოვოროსიისკში გუბერნატორის თხოვნით კავკასიის ნამესტნიკმა გაძლიერებულ დაცვის წესები გააუქმა.

—2 ნოემბერს, მამა-დავითის მთაზე თფილისის ყველა მოხელეების მიტინგი იყო დანიშნული. მიტინგის მოხელენი ნაკლებათ დაესწრენ, რადგან დაწესებულებათა უფროსთ მოხელეთათვის მიტინგზე წასვლა დაუშლიათ. სახაზინო პალატის უფროსს მოხელეებისათვის რიხით გამოუცხადებია: მიტინგზე წასვლა არ გაბედოთო, მაგრამ მიტინგს ამ დაწესებულების ზოგიერთი მოხელენი მაინც დაესწრენ. მიტინგზე გადაწყდა, რომ ყველა დაწესებულებებიდან არჩეულ იქმნეს ორი კაცი, რომელთაც თავიანთი მოთხოვნილებანი უნდა შეიმუშაონ. შემდეგი მიტინგი დანიშნულია კვირისათვის.

—მოგვყავს აქ ხურიაში კაზაკების მიერ დახოცილთა და დაჭრილებულთა სახელი და გვარი.

მოკლულნი არიან: პავლე დვალიშვილი, ხიშტით; გიორგი ლომაძე, წისქვილში სიმინდი მიჰქონდა, 70 წლის მოხუცი; სოფრომ დოლიძე, მოხუცი თავის ეზოში მოჰკლეს; არსენ ხიფშიძე და ერთი ჯახუტაშვილი, სოფ. ძიმითში უცაბედად მოკლულნი; ამბაკო სალუქვაძე—ბრძოლის ველზე.

დაჭრილები არიან: თედ. ტრაპაიძე, სამსონ მამალაძე, კონსტანტე ხომერიკი, სილიბისტრო ღლონტი. არც ერთი მათგანი შეტაკებაში არ ყოფილა. შეტაკების დროს ამხანაგისაგან უცაბედად დაიჭრა ბერამიძე.

გადაწვეს: ლუკა ტროპაიძე, გრიგ. ებრალიძე, ილიკო შაინოვი, ილიკო კონტრიძე, ჩხარტიშვილი სიო. ეგნსტე და მიხეილ ზამბახიძე, ივასე ვადაჭკორია, ვასილ ჩიგოგიძე, აპოლონ წულაძე, სიმონ, ისიხი, ანტონ და სოლომონ მენაბდენი, იაკობ ჩავლეშვილი, დუქანი; ალმასხან მენაბდე, დუქანი; ბარნაბ, ივლიანე, გაბრიელ, ივანე, ილარიონ, ლუკა და ნიკიფორე მენაბდენი; სილიბისტრო, დიმიტრი, ჯარისპან და ფარსადან, აზნაური ღლონტები; ანტონ ჩხარტიშვილი; გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“; გიორგი ღლონტი; ოქროპირ გოგოტიშვილი; მიხეილ და ლევან მამულაიშვილები; ალექ. ხუჭუა, სოფლის სასამართლო, კანცელარია; ასლან, ილიკო, თეოფილე, იაგორ და მაქსიმე ღლონტები; ივანე ნიკოლაიშვილი; ანტონ ფიჩხაძე; ანდრია და მოსე ღლონტი; სიმონ, ალექსი და კონსტანტინე სკანკოჩაიშვილები, ვასილ, გიგო და გიორგი დათუნაიშვილები, გიორგი, ალექსი (მემკვიდრე) და ნინო ბერი.ძენი; ვასილ თავაძე, ივანე გოგვაძე, სარდიონ ღლონტი; ლუკა ღაჟონია, სტეფანე და მალაქია ღლონტი, ალექსი მაღლაფერიძე, ალექსი ცხომელიძე, არსენ ხინთიბიძე, ვატა ცხომელიძე, ივანე სალუქვაძე, პავლე მგელაძე, ივანე თავდიშვილი, თეღორე, ალექსი და პროგილე რუხაძენი, საყვარელ რუსიეშვილი, მელიტონ სიმონისშვილი, მიხეილ, ივლიანე, ისაკ და ვალიკო რუსიეშვილები, კოსტა ფიფია, იორამ და გიორგი გოგვაძე, ანდრია და გიორგი დონდოლაძე, გიორგი და ანდრია რუხაძენი, ივლიანე ჩხაიძე, სამსონ მახარაძე, ამბაკო და კონსტანტინე რუხაძენი, იობი ერქომაიშვილი, სანდრო ჯაფარიძე, თეოფილე თავდიშვილი, გაბრიელ მელიქაძე, ნესტორ მახარაძე, ერემია ცხომელიძე, მიხაკო ცხომელიძე, ეკვთიმე ღლონტი, ერემია ცხომელიძე, მიხაილ ღაჟონია და სიმონ ჩხაიძე. („ივ.“)

შლისელბურგის პატიმრები.

ისინი დღემდის იტანჯებიან... ვინ არიან ისინი, რამდენი არიან? რამდენი არიან ეს თვითმპყრობელობის მტრები, რომლებისაც ეხლაც ეშინია მას, ეხლა, როცა ისინი ნახევრათ მკვდრები არიან.

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ლ. მენშინი „С. От.“ ფურცლებზე: სამოცი კაცისაგან, რომლებიც შლისელბურგში იყვენ დაპატიმრებული დარჩა მხოლოთ თორმეტი. აი იმათი გვარები: პაპოვი, ფროლენკო, მაროზოვი, ლოპატინი, ანტონოვი, ივანოვი, ნოვორუსკი, ლუკაშევიჩი, კარპოვიჩი, გერშუნი, საზონოვი და სიკორსკი. ამათში პირველი სამი კაცი 26 წელია, რაც დატყვევებული არიან, ფროლენკო და მოროზოვი თვალსაჩინო როლს თამაშობდენ ეგრეთ წოდებული «Народ. Воля»-ს მოქმედებაში. პაპოვი სრულიად შემთხვევით მოხვდა შლისელბურგის ციხეში. 1880 წ. პაპოვს რაღაც უმნიშვნელო პროცესის შემდეგ გადაუწყვიტეს და გაგზავნეს ჯერ ციმბირში, იქიდან კი გადაყვანილ იქმნა ოდესლაც სახელოვან კრაში. 1882 წ. კარიდან გაიქცა 8 პოლიტიკური დამნაშავე (ყველა დაიჭირეს). პოლიციის დეპარტამენტმა ბრძანება გასცა, გადაეყვანათ კარის ციხიდან დასასჯელათ 16 კაცი, რომელნიც ყველაზე საეჭვოთ მიაჩნდათ. ამ 16 კაცში მოყვა პაპოვიც, რომელიც არ ყოფილა გაქცეულთა რიცხვში. კარიდან გადმოყვანილებში პაპოვის მეტი არავინ გადარჩენილა: ზოგი დახვრიტეს, (მინაკოვი და მიშკინი), ზოგი მოკვდა (იურკოვსკი, ბუცინსკი), ზოგი ჭკუიდან შეიშალა (შჩედრინი),—გადარჩა მარტო პაპოვი. იმას ასცილდა ყველა მანიფესტი; ჩვეულებრივი დრო რომ ყოფილიყო მას არ შეიბრალებდენ უგულო და უსულო ჟანდარმები.

დანარჩენ ტუსაღებში მთავრობა უმეტეს ყურადღებას აქცევს გ. ლოპატინს, რომელიც დაჭერილია 5 ოქტ. 1884 წ., გასამართლებულია 5 ივნისს 1887 წ. მართლაც შესანიშნავია ლოპატინი როგორც ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ამ საქმეს. ლოპატინმა შლისელბურგშიაც გაატარა რამდენიმე წელი რუსეთის და ციმბირის ციხეებში, რამდენიმე ხანი გადასახლებულიც იყო. ის ძალიან განათლებული კაცი იყო, იყო მეგობარი ლავროვისა და კარლ მარქსის, კაპიტალის I ტომის უმეტესი ნაწილი მისი ნათარგმნია რუსულ ენაზე. შესანიშნავი აგიტატორი, აღჭურვილი ბრწყინვალე მჭევრმეტყველობით და თავისებური მიმზიდველობით, ის მოსვენებას არ აძლევდა პოლიციასა და ჟანდარმებს. ისინი არაფერს არ შურავდენ, ოღონდ რამე ნაირათ სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტათ მისთვის. მას ბრალს სდებდენ ვითომ ცნობილი სუდეიკინის მკვლელობის მოთავე ყოფილიყოს, მაგრამ სამხედრო სასამართლომ გაამართლა ის. მიუხედავათ ამისა პოლიციის დეპარტამენტმა, რომლის დირექტორათ იმ დროს იყო ჰ. ნ. დურნოვო—«განახლებული» მთავრობის დროებითი შინაგან საქმეთა მინისტრი, გაგზავნა გ. ლოპატინი შლისელბურგში (სიკვდილით დასჯის მაგიერ მთელი სიცოცხლე ციხეში ჯდომა მიუსაჯა). ახლა ლოპატინი სამოცი წლისაა, როგორც ამბობენ ძალიან ავათ არის (წყალმანკით). მოროზოვი («ნაროდნაია ვოლია»-ს პოეტი)—როგორც შარშან განთავისუფლებული ვერა ფიგნერი გადმოგვცემს,—ისეთი გამხდარია, თომ თავისი ფიგურით ინდოეთში შიმშილობის დროს დახატულ ინგუსებს მოაგონებს კაცს... არც დანარჩენები არიან ჯანმთელათ: სერგეი ივანოვი ეპილეპსიით არის ავათ, პეტრე ანტონოვი (მუშა) ნევრასტენიით...

ეი ამ საშინელი უსამართლობისაგან და სისასტიკისაგან ტანჯულ-წვალებულ ბებრებს და ავადმყოფებს არ აძლევს თავისუფლებას გრაფ ვიტტე და გენერალ ტრეპოვის მთავრობა, ის მთავრობა, რომელიც საზოგადოებისაგან ნდობას ითხოვს და რუსეთის განახლებას და განთავისუფლებას გვპირდება... ან იქნებ მთავრობა შიშობს, რომ ცოცხალ-მკვდარ ტანჯულებთან ერთათ გარეთ გამოვა მთელი გროვა სამუდამოთ დალუპულთა—ალექსანდრე მიხაილოვი, ბარანნიკოვი, მიშკინი, კლეტოჩნიკოვი, კოლოტკევიჩი, ზლატოპოლსკი, შოგდანოვიჩი, გრაეფსკი, სოფიო გრინცბურგი, ბალმაშოვი და სხვანი მრავალნი ტანჯულნი და წამებულნი შლისელბურგის ჭერ ქვეშ გამოვლენ და მოგვითხრობენ ჩვენ იმ დიად, მიუტევებელ ცოდვებს, რომლების მოწმეთ მხოლოდ ყრუ კედლების იყვენ...

(ნ. ჟ.)

კორესპონდენციები.

ჟ. მოსკოვი, 22 ოქტომბერი. ხშირათ გიდება კალამს ხელში, რომ ქართველ საზოგადოებას გკუნზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი მოსკოვის მოძრაობის შესახებ, მაგრამ ახალი შთაბეჭდილებანი, ახალი შემთხვევები, რომელსაც ადგილი აქვს მოსკოვის ქუჩებზე, ბანქოვის უწინდელს და აძულებულათ მხდის კალამი მივტოვო, რომ ხასუხი გავცე ახალ კითხვებს. ცხოვრება დუღს და გადმოდუღს; ძველი იცვლება ახალით, ახალი კიდევ უფრო ახლით და ეს ისე სწრაფათ და მოულოდნელათ ხდება, რომ აზრები ბურუსში ეხვევა და აზროვნება კი ჭაობს წარმოადგენს. ასეთ დროს ძნელია, უძალიან ძნელი რამეს დაბეჭდით გამოთქმა. ძალუნებურათ მივდები ცხოვრების ტალღას, ის გადაგიყვანს მდელვარე ზღვაში და იქ, ზღვის მორევში, უველაფერი გაიწუდება. „ბრძოლა მამაცი, ბრძოლა დაუცხრომელი, ბრძოლა უველა შავ ძალებთან“, აი რა შეადგენს მთელ შენს არსებას.

დიდი ხანია რაც რომ რუსეთში, რევოლიუციური მოძრაობა დაიწყო, დიდი ხანია, რაც რუსეთის სხვადასხვა უფლებების რევოლუციის ქარ-ცეცხლი მოედო, მაგრამ ის მიზანს მაინც ვერ აღწევდა; მას აკლდა ერთი რამ, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ხალხის გამარჯვებისათვის—მას არ ქონდა საერთო, ერთ დროული ხასიათი. ბრძოლა დანაწილებული იყო და მტერი ადვილათ იმარჯვებდა; სისხლი იღვრებოდა, ხალხი გაწიწავდა და მტერი კი იცინოდა.

იმ დროს, როცა სხვადასხვა რუსეთის ქალაქებში ბროლეტარიატი მტერს შემატურად ებრძოდა, რუსეთის დედა ქალაქი მისი ცენტრი—მოსკოვი სადათას ძილში განისვენებდა. მრავალ რიცხოვან საელჩებს და კაცწართნილ ბოდიალებს თითქოს დაებნელებინა მოსკოვის ბროლეტარიატის გონება. ის დუმდა უიმედოთ. კითხულობდენ, როდის იქნება, რომ მოსკოვიც ხმას გაბეზეშს, რომ ერთათ მასთან იერიშით მივიტანოთ სასაგულ წეს-წყობილებაზედ.

და აი დადგა დრო. მოსკოვმა დაიწყო. გუშინდელი მოხა ბროლეტარიატი, დღეს ღამ-კაცათ კამოდის, და მდებარეობით რუსეთის ცენტრი—მოსკოვი, მოძრაობის ცენტრათ გადაქცეულა. სადაც გაფიცვა, რომლის განხორციელება მოითხოვს დიდ შეგნებას და სასტიკ დისციპლინას ბროლეტარების მხრით, მოსკოვის ბროლეტარიატმა იდეალურათ ჩაატარა. მთელი კვირის განმავლობაში მოსკოვი მოკლებული იყო წყალს და სინათლეს. ბნელი, ხორცი და უველაფერი, რაც კი შეიძლება ბირველ მოთხოვნილებას, ერთი ათად ფასობდა და მცხოვრებლები აუტანელ მდგომარეობაში იყვენ ჩაყენებულნი; გაზეთები არ გამოდიოდა, რკინის გზის მსვლელობა შეწყვეტილი იყო. ბროლეტარიატის ძალა ბირველათ დაინახა მოსკოვის მცხოვრებლებმა. ბატარა კაცი, კაცუნა, მის თვალ წინ გაიზარდა და ვეებერთელა კაცათ გადიქცა. ქალაქის «მამები»-ხმოსნები მორიგებასაც შეუდგენ და ბირველათ იცნეს ბროლეტარები მოხარდაბარე მხარეთ. თუ ბირველათ მედიდურათ უყურებდენ მათ, ეხლა მუშების კრებებზე დეპუტატებს აგზავნიდენ და ხსნას და შველას თხოულობდენ. მაგრამ მუშები უარით ისტუმრებდენ და დირსეულათ უპასუხებდენ: ჩვენ ჯერ სხვასთან გვაქვს საქმე, თქვენთვის შემდეგში მოვიცლითო; თქვენ ეხლა გრძნობთ გაჭირვებას და ჩვენ კი დაბადებიდან გაჭირვებაში ვართო; მოითმინეთ, თქვენ ხომ სულ მოთმინებას ქადაგებთო.

სიტყვის, კრების, კავშირის თავისუფლება მოსკოვის მუშებმა ფაქტიურათ უკვე განახორციელეს, ასე რომ, «მანიფესტს» მათ ცხოვრებაში ამის მხრით არაფერი ახალი არ შეუტანია. უნივერსიტეტის და სხვა სასწავლებლის აუდიტორიები ყოველ საღამოს გამოწყდილი იყო ათასი და ათიათასი მუშებით და ორატორებს დიდის ეურადღებით უცქერდენ. სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ მოძრაობას, უველა კრებებზე დიდ თანაგრძნობას იწვევდა, და მუშები უველგან და ერთხმათ აცხადებდენ მისი ხელმძღვანელობით მოქმედებას. საკურადღებოა ის მოვლენა, რომ თვითონ მუშებიდან მრავალი ორატორები გამოდიოდენ და გრძნობიერ სიტყვებს ამბობდენ. უველა ამათგანი ურჩევდა ამხანაგებს ბოდიალკური ბრძოლა ბირველ ადგილზე დაეყენებინათ.

17 ოქტომბრის «მანიფესტმა» დიდი ამბავი გამოიწვია მოსკოვში, 18 ოქტომბერს დილიდან დაიწყო მიტინგები და მანიფესტაციები ქალაქის უველა კუთხეებში. ათასობით და ათიათასობით დაიარებოდენ ქუჩებზე უთვალავ წითელ დროშებით, „მარსელიეზის“ და სხვა რევოლიუციური სიმღერით. წინ მოჰქონდათ თორმეტ დროშა ზედ წარწერით «მანიფესტია», ეს უველა ბოდიალკური საქმეებისთვის დაწერილების გამოშვებას თხოულობდენ. ბუტირკის ციხის ახლო თავი მოიყარა 30 ათასამდე კაცმა და დაუყონებ-

დიდ თხოულობდენ დაჭერილების გამოშვებას. გამოუშვეს 147 დაჭერილი, რომლებიც გაძღიერების დაცვის კანონით იყვენ დაპატიმრებული. განთავისუფლებულს ხალხი დიდის ალტაცებით ეგებებოდენ. შემდეგ დაბრუნდენ უნივერსიტეტში, რომ აქ გაემართათ მიტინგი. გზაში შეხვდენ პირდაპირ მომავალ გროვის პატრიოტულ მანიფესტანტებისას ხელმწიფის სურათით, ხატით და ნაციონალური ბაირაღებით. მოახლოვებისას დაიწყეს ყვირილი, დამუქრება, რის შედეგი იყოს ის, რომ ჩვენმა მეომარმა რაზმმა (боевая дружина) რამოდენიმეჯერ გაისროლა და მანიფესტანები ერთ წუთში გაიფანტა. თითქმის მთელი დღის განმავლობაში ყველგან მიტინგები იმართებოდა; უმთავრესი საგანი «მანიფესტის» გარჩევა.

«მანიფესტის» გამოცხადებასთან ერთათ თავი იჩინა «შავმა რაზმმა». დღე არ გავა, რომ მსხვერპლი არ იყოს. გაძატმული ბრბოები და კაზახები ამხედრდებენ ბრალ ხალხს „სტუდენტების“ და სხვოგადოთ ინტელიგენტების წინააღმდეგ. ფორმაში გვყვა თითქმის შეუძლებელია, რადგან ჰუტიდებით ან გაგლახენ ან და მოგკლავენ. ერთმა მათგანმა ამ დღეებში მოკლა გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ ბაუმანი, რომელიც დიდი ხანია მუშაობდა სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციებში; სხვათა შორის «მეორე სიეზდზე» დელეგატათ იყო გაგზავნილი მოსკოვის სოც.-დემოკრატიის კომიტეტისაგან. ყველა მოსკოვის გაზეთები განურჩევლათ მიმართულებისა, რასაკვირველია გარდა რეაქციონურისა, დიდის პატივის ცემით ახსენიებდა ნიკ. ბაუმანს, როგორც თავგამოდებულ მებრძოლს თავისუფლებისათვის. 20 ოქტომბერს დანიშნული იყო დამარხვა. ძნელი წარმოსადგენია გადმოცემა იმის, თუ რა მოხდა მოსკოვში ნიკ. ბაუმანის დამარხვაზე. თუ მისი სიცოცხლე დიდს სარგებლობას მოუტანდა პროლეტარიატს, მისმა სიკვდილმაც დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა პროლეტარიატის შეკავშირებას. 20 ოქტომბერი იყო დღე, როდესაც მთელი მოსკოვის პროლეტარების შეერთება და ერთსულოვანობა ყველასათვის თვალ-საჩინო გახდა. უოვლად შეუძლებელია აღნიშვნა რიცხვით, თუ რამდენი სული მიეგებოდა განსვენებულის კუბოს.. აგვილობრივი გაზეთები წერენ 100,000 იყოო, მაგრამ მე კი მგონია, რომ გაცილებით მეტი იყო. მოწყობილი იყო აგვილობრივი ს.-დ. კომიტეტის ხელმძღვანელობით. ისეთ რიგ-რიგათ და მწყობრათ მიეგებოდენ, რომ გაწვრთნილ ჯარს მოგაგონებდათ. ერთი ვერსის მანძილზე იყო გაშწკრივებული ხალხი უოვლივი წოთელი ბაირაღებით და გვირგვინებით ყველა აგვილობრივი, როგორც დიბერალური, ისე სოციალისტური ორგანიზაციებიდან. წინა ბაირაღზე ეწერა «წესიერებას იცავენ მოქალაქენი», შემდეგ: «ძირს თვით-მპყრობელობას», «კაუმარჯოს დროებით მთავრობას», «კაუმარჯოს შეარაღებულ ჯარნებს!», «კაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას» და სხ. და სხ.

20 ოქტ. მოხდა პირველი მობილიზაცია მებრძოლ პროლეტარების არმიის და ამ მობილიზაციამ სიფრთხა ჩაიარა. მაყურებლებიც, რომელიც გაშტერებით უცქერდენ ამ დიდებულ პროცესიას, ძვირად გაიგონებდით: „Здѣсь вся Москва! Это посерьезнѣе японской войны“.

შავ ძალებს ამ დროს არ სძინავდა, ის დროს უცდიდა და სამაგიეროს გადახდა სწეუროდა. და აი ამ დროს, როცა დასოვდა ვების შემდეგ დაბრუნდენ და 3000 კაცამდე მიუახლოვდა უნივერსიტეტის შენობას, იცრიალა ტყვიებმა და 50 კაცი იქმე ამსხვერპლა (დაჭრილი და დახოცილი).

ამით ვათავებ მოსკოვის ამბების მოკლეთ გარმოცემას. მაგრამ მინდა ერთი ვიკითხო, შესაძლებელია თუ არა რამე თავისუფლების განხორციელება. უხლანდელ ვითომ და განთავისუფლებულ რუსეთში? შესაძლებელია თუ არა გუშინდელი მკვლების დღეს ცხვრებათ გადაქცევა? განა აშკარა არ არის, თუ მართვა-გამგეობა ხელახლად მთავრობის ხელში დარჩა, ყველაფერი თავისუფლება მხოლოთ ფიქცია იქნება?

სიო ჭ—ლი.

ქ. თელავი. 25 ღვინობისთვიდამ დაიწყო აქ საერთო გაფიცვა, რომელმაც სამ დღეს გასტანა.

26 ღვინობისთვეს ეგრედ წოდებულ „ნაძრავებზე“ გაემართა მიტინგი, წარმოსთქვეს სიტყვები სოციალ-დემოკრატ. პარტიის ორატორებმა. შემდეგ პროცესიით ვაემართენ სამხედრო საკრებულოსკენ, საიდანაც გამოვიდნენ კენჭის ამოსაღებად თავმოყრილნი ახალგაზდანი და შეუერთდენ პროცესიას. ამავე დროს ააფრიალეს წითელი დროშა და მარსელიეზის სიმღერით განაგრძეს გზა. ქალაქის ბაღთან შეეგებნენ მათ, წინანდლის სახელმწიფო მამულის მუშები. ხალხი თანდათან ემატებოდა. გაიარეს სიმღერით და «ურას» ძახილით უმთავრესი ქუჩები სიტყვების წარმოთქმით. ნაშუადღევის ორ საათზე ყველანი მშვიდობიანად დაიშალნენ.

27 ღვინობისთვეს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სომხის თელეთის ეკკლესიის გალავანში, სადაც გადაიხადეს პანაშვიდი თბილისში 22 ს შეუბრალებლათ ამოხოცილთა სულის მოსახსენებლათ, და წარმოითქვა სიტყვა. აქედან წითელი ბაირაღებით და მარსელიეზის სიმღერით გასწიეს ფერის-ცვალების ეკკლესიისკენ, რომლის მახლობლათ გადახდილი იქნა პანაშვიდი და წარმოთქვეს სიტყვები.

28 ღვინობისთვეს გადიხადეს ყველა სასწავლებლების მასწავლებელ-შეგირდებმა პანაშვიდები თბილისში 22 ოქტომბ. ამოჟლეტილ მოწაფეების მოსახსენებლათ. 29 ღვინობისთვეს ხელახლა შესწყდა მეცადინეობა ყველა სასწავლებლებში.

26 ღვინობისთვეს დასრულდა სამხედრო ბეგრის გადასახადად გამოწვეულ ახალგაზდათა კენჭის ამოღება. უკეთ ვთქვათ, უნდა დასრულებულიყო რომ ამოეღოთ კენჭი, მაგრამ მომეტებულ ნაწილს არ ამოუღია. ყვარელის საბოქაულომ კენჭი ამოიღო, მაგრამ დაფიცვაზე რომ მიდგა საქმე, ცივი უარი განაცხადეს ფიცზე. დანარჩენ საბოქაულოებს სრულებით არ ამოუღიათ კენჭი. ყველა ამათ წარუდგინეს ადგილობრივ მთავრობას შემდეგი მოთხოვნები: 1) ორი წლის სამსახური. 2) დატოვება სამშობლო ქვეყანაში. 3) ყველა შესრულებულ ჯარის კაცების განთავისუფლება. 4) განთავისუფლება ჯარის კაცისა პოლიციურ სამსახურის შესრულებისაგან. მაზრის წინამძღვარმა აცნობა ყველა ეს დეპეშით გუბერნატორს.

თიანეთის მაზრაში ახლად გაწვეულნი ჯარის კაცები აქეთ-იქით გაიფანტნენ და მიიმალნენ.

10 ღვინობისთვეს გაიფიცნენ აქაური ბონდრები. მათ წარუდგინეს აღებს თერთმეტი სხვადასხვა მოთხოვნები. რამდენიმე დღის შემდეგ დაკმაყოფილებულ იქმნა ყველა მოთხოვნები და ბონდრებმაც მუშაობა დაიწყეს.

მეოცე საუკუნე.

—

ქ. სილნაღი დიდებულ სურათს წარმოადგენდა 23 ღვინობისთვეს. დილიდგანვე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სოფლებიდან. ასი წლის ტანჯვა-ვაების შემდეგ დღეს პირველათა გრძნობდენ თავისუფლათ ამოსუნთქვას, როდესაც გაშალეს წითელი დროშები, ამ დროს ერთხმათ დაიგრიალა ათი ათასმა ხმამ ვაშა! ჯაშუშები და პოლიციელები თითქო მიწაში ჩაძვრენო ისე მიიმალენ. დღეს ქიზყმა კარგათ იცის რასა ნიშნავს თავისუფლება: სიტყვის, კრების, კავშირების და პიროვნებისა; აი ამიტომ მანიფესტის წაკითხვის შემდეგ გასწორდა ერთის საუკუნის წელში მოხრილი ხალხი, და ორატორის სიტყვის გათავებას შემდეგ დაიძახეს: ეს არა კმარა ჩვენი ცხოვრებისათვის განვაგრძოთ ბრძოლა, ბრძოლა მედგარი ვინემ, სრულს თავისუფლებას მოვიპოვებდეთო.. შემდეგ დროშებით შემოიარეს მთელი სილნაღის ქუჩები, და ყოველგან ახალ დამსწრე ხალხს ორა-

ტორები უხსნიდენ დღევანდელ, მნიშვნელობას დღის ორი საათი იქნებოდა, რომ პროცესია გაემგზავრა სოფელ ბოდბიხევში, სადაც ბლომათ მოგრიცილიყო ხალხი. როდესაც ორატორებმა აუხსნეს ხალხს, რომ მანიფესტში გამოთქმული თავისუფლება ნაყოფია შეუპოვრათ მებრძოლი მუშა ხალხისა, რომელნიც მტარვალთა ხელით ურიცხვნი განიგმირენ, და მათმა სისხლმა მორწყო რუსეთის ქალაქები და სოფლებიო, რომელთა გვამებით დღესაც სავსეა მოსკოვის ქუჩებიო, ამ დროს ხალხში გაისმა ქვითინი და ყველას ცრემლები გადმოცვივდათ. აქედგან პროცესია ქვემო-მაჩხაანში გაემგზავრა, რომელსაც შეუერთდა ბოდბისხეველებიც. ამ მრავალ რიცხოვან ხალხს ოთხი წითელი დროშა მიუძღოდა წინ, და ისეთს ამაღელვებელ სურათს ბადავდა, რომ ყოველის მხრიდგან: კაცი და ქალი, ბებერი და ყმაწვილი უერთდებოდენ პროცესიას. ს. ქვემო მაჩხაანში რამდენიმე სოფლის ხალხს მოეყარა თავი. აქ გაიმართა მიტინგი. — ხედავთ ამ წითელ დროშებს!—დაიძახა ორატორმა.—ეს არის იმ უდანაშაულოთ დახოცილ მუშათა სისხლში ამოვლებული და ძლევა მოსილების ნიშანი, რაიცა თავზარს სცემს მშრომელი ხალხის მცარცველ ბნელ ძალებს. ის წმინდა გვამები, რომლებიც დაიხოცნენ ამ დროშების ტარების უფლებისათვის გიწვევენ თქვენ რომ განაგრძოთ ბრძოლა, ბრძოლა სრული თავისუფლების მოპოვებამდის. ხალხი აღელდა, ცრემლი და სიხარული დასთამაშებდა ყველას. აქ რამდენიმე ორატორმა წარმოსთქვეს სიტყვა, რომელთა სიტყვის დასასრულს ხალხი ეშას ძახილით ეგებებოდა. შემდეგ პროცესია წავიდა ს. ტიბაანში, აქ გამართული მიტინგის შემდეგ გადავიდა ჯუგაანში სადაც ელოდა ამ მუშა ხალხის ძლევა მოსილების ნიშანს. აქაც რამდენიმე ორატორმა დაიწყო ლაპარაკი, რომელთა სიტყვას ამღელვარებული ცრემლიანი ხალხი ისმენდა, აქ კი ღამემ უსწრო და დაიშალენ.

დროებით ქიზიყელი.

როგორ მიეგება ბაქო «კონსტიტუციას».

ჩვენს მრავალ-ტანჯულ ქვეყანაში არ მოიძებნება მეორე კუთხე, რომელსაც ბაქოს ოდენი საშინელება და გასაჭირი გადაეტანოს ამ მოკლე ხანში. კეთილდღეობის საზიზღარმა მტერმა ბაქოში ძლიერ ნოყიერი ნიადაგი მოიპოვეს თავისი ფესვების გასამაგრებლათ, და დასტკბენ კიდეც თავისი მოღვაწეობის ნაყოფით. მრავალგვარმა უბედურებამ წელში გატეხა ბაქო; ის ჩამორჩა საზოგადო ფერხულს და ძალა-მიხდილი კვნესოდა სამარცხვინო ბრძოლის სისხლის მორევში. მაგრამ 17 ოქტომბრის მანიფესტმა ერთბაშათ გამოაფხიზლა იგი. მოვიდა თუ არა ტელეგრამა კონსტიტუციის შესახებ, ქუჩაში აფრიალდა წითელი დროშა—ნიშანი თავისუფლებისა. ხალხი, განურჩევლათ ცხოვრებისა და მდომარეობისა, ქუჩაში გამოეფინა; ყველა ერთშანეთს ულოცავდა ძველი რეჟიმის დამხობას, ყველა გახარებული იყო და გრძნობდა, რომ «მანიფესტი» ნიშანი იყო მტერის დამარცხების. ხალხი ერთ ადგილზე იკრიბებოდა და აი იმ ქუჩებზე, რადგან გუშინ და გუშინწინ გამხეცებული ძმები ერთმანეთს ყლეტდენ, დღეს რამდენიმე ათასმა ხალხმა «ინტერნაციონალი» დააგუგუნა. რკინის გზის სახელოსნოსთან გაიმართა მიტინგი. დიდხანს ილაპარაკეს ორატორებმა ახლად მოვლენილ „თავისუფლებისა“ და ნამდვილ თავისუფლების შესახებ, აუხსნეს ხალხს ნამდვილი მიზანი ახლანდელ მოძრაობისა და სხვ. და სხვ. შეუძლებელი იყო, რომ ხალხს თავისუფლათ ლაპარაკი დაეწყო და ის უებრო მოღვაწენი დავიწყებოდა, რომელნიც ხალხის განმათავისუფლებელ მოღვაწეობისათვის ციხეში იტანჯებოდენ. პირველი მოთხოვნილება, რომელიც შეადგენდა საზოგადოების ზნეობრივ მოვალეობას, იყო პოლიტიკური თავისუფლების მებრძოლთა განთავისუფლება. ხალხი თავისუფლების სიმღერებით გაემგზავრა სატუსაღოსაკენ. „პოლიტიკური დამნაშავეთა“ განთავისუფლებით გათავდა პირველი დღე „თავისუფლებისა“.

19 ოქტომბერს ბაქომ დილიდანვე სადღესასწაულო სახე მიიღო. მაღაზიები დაკეტილი იყო, ყველა ბანკებში, კანტორებსა და სახელმწიფო დაწესებულებებშიაც კი შეწყდა მუშაობა; რკინის გზა გაფიცული იყო, ტრამვაის ვაგონები კი წითელი ბაირაღებით გამოვიდა, სახლებზე წითელი ბაირაღები ფრიალებდა; ქალი და კაცი წითლათაა გამოწყობილი—წითელი ბლუზა, წითელი გალსტუკი, წითელი ბანტი კალთაზე, ქუდზე, მკლავზე... რვა საათიდგან დაწყებული ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ წითელი დროშით იკრიბებოდა ქალაქის შუაგულ მოედანზე—პარაპეტზე. მიტინგის დაწყებამდი შეკრებილი საზოგადოება გაემგზავრა სატუსაღო სახლისაკენ იმ ამხანაგების განთავისუფლების მოსათხოვნათ, რომელნიც შირინკინის განკარგულებით იყვენ დამწყვდეულები და გუშინ არ გამოეშვათ. გზა და გზა თათრების უბანში ქუხდა ორატორების თავისუფალი სიტყვა. ლაპარაკობდენ თათრებიც. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ორატორებს და ხმამაღლა გაიგოდა იმათ ღმანასკნელ სიტყვებს. საზოგადო მხიარულებას საზღვარი არა ქონდა... უცებ გაისმა ზედი ზედ თოფის გრიალი. თავ-ზარ-დაცემული საზოგადოება, რომელშიაც ბევრი ქალები და ბავშვები იყო, გაიფანტ-გამოიფანტა, სატუსაღოს წინ კი 18 დაჭრილი და ერთი მოკლული ადამიანი დარჩა. საქმე იმაში იყო, რომ როცა ეს აუარებელი საზოგადოება სატუსაღოსაკენ გაემართა, პროცესიის ერთი ნაწილი უკვე მიუახლოვდა იმას და მთავრობასთან გაგზავნილი დეპუტატების მოლოდინში ლაპარაკი დაუწყო ფანჯარაზე მომდგარ ამხანაგებს. არავითარი ძალ-მომრეობა, რასაც ურა-ცხვათ ირწმუნება ოფიციალური ცნობები, ხალხის მხრით არ ყოფილა. ეს შეუძლებელი იყო. განა წარმოსადგენია, რომ იმ საზოგადოებას, რომელიც ძალით აპირებს ტუსაღების განთავისუფლებას, ქალები და ბავშვები თან წაეყვანა? ამას მხოლოთ ის წარმოიდგენს და იტყვის, ვინც შეჩვეულია და არაფრათ აფასებს უმანკო სისხლის დაქცევას; ის მოქალაქენი კი, რომელნიც სიმართლისათვის მებრძოლთ ესარჩლებიან, არამც თუ არ დაღვრიან უმანკო ადიმიანების სისხლს, არამედ, ხედავთ, მოსისხლე მტრებსაც ითმენენ! საქმე კი იმაშია, რომ მოქალაქეთა თავისუფალი სიტყვა ალბათ გულში ჩხვლეტდა მორიგ აფიცერს, რომელშიაც, რა თქმა უნდა, მანიფესტი ვერ გარდაქმნილა დედის ძუძუსთან ერთათ შეზდილ გრძნობას ძალმომრეობის უფლებისას, და მან ისარგებლა შემთხვევით და ხელქვეითთა უგუნურობით. ნიშნათ მოახლოვებული რისხვისა ორჯელ დააკვრევია ჯარისკაცებს, მაგრამ იქ მყოფ საზოგადოებას არც კი გაუგია ამის მნიშვნელობა; მესამედ დაკრეს და... თოფებიც გავარდა. საშინელი იყო ღიარაღო დემონსტრანტების მდგომარეობა, მაგრამ უფრო საცოდავ მდგომარეობაში ორ კედელს შუა მყდომი ამხანაგები ჩავარდენ. ასეთ უსამართლობის დანახვაზე იმათ დაამტვრიეს სატუსაღოს ფანჯრები, დალეწეს იქაურობა, და უბედურებას უბედურება მოყვებოდა, რომ პროკურორს არ გაენთავისუფლებია. აღელვებული ხალხი ისევ პარაპეტისაკენ გაემართა. აქ ახლა აურებელ საზოგადოებას მოეყარა თავი. აქა-იქ საზოგადოებაში დაინახავდით ახლათ გამოშვებულ ამხანაგებს, რომელთაც სახლში წასვლის მაგიერ მიტინგზე მოსვლა იმჯობინებიათ და თავის ქვეშაგებით თუ ბარგით იქ

მოსულიყვენ. საზოგადოების თავზე ათასი წითელი დროშა ფრიალებდა სხვადასხვა წარწერით. აქ იყო დროშები სოციალ-დემოკრატების, დაშნაკელების, ანჩაკელების, სოც.-სიონისტების და იფტიადელების. რას არ წაიკითხავდით ამ დროშებზე: «გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას», «ჩვენ მოვითხოვთ დამფუძნებელ კრებას», «გაუმარჯოს რევოლიუციას!», «გაუმარჯოს 8 საათის სამოშუაო დღეს» და სხვ. აი მთელი ქვეყნის მუშათა მოძღვრის კარლ მარქსის დიდებული სახე ფრიალებს წითელ დროშაზე; ამ დროშას აწერია: «გაუმარჯოს სოციალიზმს!» გაუმარჯოს რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას!» მის გვერდში შავი დროშაა: „თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას!" მიტინგზე თითქმის მარტო სოც.-დემოკრატები ლაპარაკობდენ. უპირველეს ყოვლისა ორატორები პროტესტს აცხადებდენ იმ ძალ-მომრეობის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ჩაიდინეს სატუსაღოსთან მთავრობის დამჭაშებმა. ისინი უხსნიდენ ხალხს, რომ ის „თავისუფლება", რომელიც ჩვენ მოგვეცა, მუშა ხალხის სიისხლითაა მორწყული, ამიტომ იმას ჩვენ არ უნდა ვუყურებდეთ, როგორც მოწყალებას, არა, ის ჩვენი სისხლით და ოფლით შენაბანია. მაგრამ თავისუფლება უგარანტიოთ ფუჭი სიტყვაა, ფუჭი იქმნება იგი მანამ, სანამ დღევანდელ მთავრობის მაგიერ არ გამოვა თავისუფალი ხალხის ინტერესების დამცველათ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები... ახლანდელ „თავისუფლების" გამომცხადებლები სიტყვებშიაც კი ვერ ყოფილან უხვი: მოწინავე რაზმი დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობისა—პროლეტარიატი—კვლავ მივიწყებულია. მანიფესტში არ არის ნახსენები გაფიცვის თავისუფლება. მუშა ხალხს არც ახლა მიენიჭა ის საუკეთესო იარაღი, რომლის საშუალებითაც მხოლოთ შეუძლია იმას გაუმკლავდეს კაპიტალის უსაზღვრო ექსპლუატაციას. მას არ შეუძლია იყოლიოს თავისი წარმომადგენლები და თავისი ინტერესების დამცველები მომავალ პარლამენტში; მას არ დაეკითხებიან იმ ფულების აკრეფისა და დახარჯვის შესახებ, რომელსაც ყველაზე უფრო მის კისერზე იღებენ, და სხვ. რაც მოვიპოვეთ, იგი ჩვენია. მაგრამ აქ იწყება ჩვენი მიზანი; ამის განხორციელება კი პირდაპირ უარისყოფაა მთელი არსებული წყობილებისა და სანამ გუშინდელი ხალხის მყლეფელები განაგრძობენ თავიანთ ადგილზე ჯდომას, მშრომელი ხალხი მუდამ ჩაგრული იქნება... ჩვენ გვინდოდა, რომ ხალხი თვითონ, დამოუკიდებლათ განაგებდეს თავის საქმეებს, ხალხს ბატონები არ ესაჭიროება, ხალხის უფლებები განუსაზღვრელი უნდა იყოს! ხოლო ყველაფერი, რაც ხალხის უფლებებს საზღვარს უყენებს, უნდა მოისპოს; თვითმპყრობელი ხალხი უნდა შეიქნეს და შეიქნება კიდეც!... მაგრამ სისულელე იქნება, რომ ჩვენ მოველოდეთ ამას დღევანდელ მთავრობიდან ან მის მიერ შექმნილ დუმიდან. არა, ამას მხოლოდ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები ჩაუყრიან საფუძველს... გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!.. ამისათვის ჩვენ კვლავ დიადი ბრძოლა მოგველის; მაგრამ რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატი და გლეხობის შეერთებული ძალა არ შეუდრკება ამას... გაუმარჯოს, ხალხო, რევოლიუციას! — ასე ლაპარაკობდენ ორატორები, ხალხი კი „ურას" ძახილით ეგებებოდა ორატორების სიტყვებს. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა საზოგადოება სოციალ-დემოკრატების წინადადებით გაემგზავრა მატროსების კაზარმებისაკენ, სრულიად დარწმუნებული, რომ იმათში თანაგრძნობას ნახავდა... ჩვენ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როცა კაზარმის ალაყაფის კარებზე, რომელსაც სხვილი ასოებით აწერია: "კასპიის ფლოტის ეკიპაჟი", დავინახეთ აფრიალებული თავისუფლების წითელი დროშა. საზოგადოება ტაშის ცემითა და [illegible] მიუახლოვდა იმას. კაზარმის კარები გაიღო და ჩვენ წინ მთელი კასპიის ფლოტის მატროსები იდგენ. ორატორებმა ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ ვისთვის არის საჭირო მუდმივი არმია, რისთვის იბრძვიან მუშები, ვინ არიან ნამდვილი „შინაური მტრები" და სხვ. საზოგადოებასთან ერთათ მატროსებიც ეთანხმებოდენ ორატორებს. დაბოლოს ერთი მატროსი ავიდა ტრიბუნაზე; მის გამხდარ აგებულებას და მკრთალ პირისახეს კაზარმაში ცხოვრების ნიშანი აჯდა. მართალია მჭერ-მეტყველებით არ იყო სავსე მისი სიტყვა, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ მისი სიტყვები გულის სიღრმიდან ამოდიოდა. ამიტომ თითეულ მის სიტყვას ოქროს მარცვალივით იჭერდა საზოგადოება და „ურას" ძახილით აჯილდოებდა. „ამხანაგებო!" სთქვა ორატორმა: „ჩვენ კარგა ხანია დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელი ხალხის კეთილდღეობა, ჩვენი კეთილდღეობაც არის. ჩვენ მუშები ვიყავით გუშინ და ხვალაც მუშების ჩაქუჩს უნდა მოვკიდოთ ხელი; ჩვენ ვიცით, რომ მუშა ხალხი კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის იბრძვის; ყოველივე მისი მოთხოვნილება წმიდაა და სამართლიანი. მატროსებმა კარგა ხანია შევიგნეთ ეს და, გარწმუნებთ, მთელი ჩვენი არსება ხალხისკენ არის, ჩვენ მზათა ვართ, ამხანაგებო, ვეერდში ამოგიდგეთ! ცარიელ სიტყვებს არ გეუბნებით, ჩვენმა ამხანაგებმა ეს საქმითაც კი დაამტკიცეს... მაგრამ, ამხანაგებო! არმია ყრუა. გემუდარებით, ყველგან და ყოველთვის ეცადენით თვალები აუხილოთ ჩვენ ჩაგრულ ამხანაგებს—არმეიცებს!". ამის შემდეგ ნიშანთ სრული თანაგრძნობისა მატროსების ორკესტრი ხალხში გამოვიდა მარსელიეზა დაუკრა. აღფროვანებული ხალხი კი სიმღერით აყვა, და მთელი საზოგადოება სალიანის პოლკისაკენ გაემგზავრა. ორატორებმა აქაც დიდი ხანი ილაპარაკეს. დრო გამოშვებით ფლოტის ორკესტრი მარსელიეზას უკრავდა. საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა დემონსტრანტებმა გენერალ-გუბერნატორის სახლს ჩამოუარეს, პროტესტი გამოუცხადეს გენერალ-გუბერნატორს დილას ჩადენილ უსამართლობისა გამო და ისევ პარაპეტზე მივიდენ. ტრიბუნაზე წითელი დროშით ხელში არმიის ოფიცერი გამოჩნდა: «მოქალაქენო! თქვა ოფიცერმა: ეს წითელი დროშა ჩემს ხელში და ეს წითელი ბანტი შეძლებას მაძლევს გელაპარაკოთ. ამ დილას კი, როცა ამავე ადგილას გამოვჩნდი, რომ დამტკბარიყავ თავისუფალს ხალხთან ერთობით, ერთმა თქვენგანმა, სწორეთ პატიოსანმა მოქალაქემ, მითხრა: «წადით აქედან, თორემ აღელვებულ ხალხის გეშინოდესო!». დავემორჩილე გონიერ ადამიანის სიტყვებს და მოგცილდით. დიახ, ეს მაზარა და ეს წყეული ეპოლატები შეიქნა საზიზღარ ადამიანების ნიშნათ. ხალხი ჩვენ მოსისხლე მტერათ გვიყურებს. და მართალია იგი. რითი დავეხმარეთ ჩვენ ხალხს? შეიძლება იმით, რომ ტყვიამ და ხმალმა ასი და ათასი საუკეთესო მამულიშვილი ჩამოაცალა იმას!... მოქალაქენო, ჩვენ შორის ბევრი პადლეცებია, მაგრამ მოიპოვებიან ისეთებიც, რომელნიც რუსეთის დუხჭირმა პირობებმა ძალაუნებლივ გახვია ამ სამარცხვინო ტყავში. იმათ გულში ღვივის ნამდვილი მოქალაქობრივი გრძნობა და იმედი გქონდეთ, სადაც ხალხია, ისინიც აქ იქნებიან! გაუმარჯოს...!».

კ.—კი.

(დასასრული იქნება).

რუსეთი.

შეტაკება და სისხლის ღვრა ხარკოვში. 10 ოქტომბრიდან დაწყებული ხარკოვში დიდი ამბები ხდებოდა. მცხოვრებნი შიშმა შეიპყრო, რადგან ყველა საშინელ სისხლის ღვრას ელოდა.

რკინის გზის მუშებმა და მოსამსახურეებმა ორშაბათ დილით ქალაქ გარეთ მიტინგი გამართეს, რომელზედაც გარდაწყვიტეს: გავიფიცოთ და პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები წარვადგინოთო. იქვე წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე ცხარე სიტყვა, რის შემდეგაც ხალხი — 15 ათასი კაცი რკინის გზის სადგურისაკენ დაიძრა, ხელი აიღებინა მუშაობაზე ყველას და მარსელიეზის სიმღერითა და წითელი დროშებით განაგრძო მსვლელობა უმთავრეს, ეკატერინოსლავის, ქუჩით. გზა და გზა აქცევდნენ ტრამვაის ყველა ვაგონებს, სჭრიდნენ ტელეფონის ვეებერთელა ბოძებს, გაანადგურეს ტარნპოლსკის იარაღის მაღაზია, საიდანაც გაიტაცეს უკანასკნელი ტყვია. ასე მიაღწიეს ქუჩის ბოლომდე. აქ გადაწყვიტეს თავი მოეყარათ მეორე დღეს ქალაქის შუაგულ ადგილას, ნიკოლოზის მოედანზე, სადაც უნდა გაემართათ სახალხო მიტინგი. ხალხი უკვე იშლებოდა, როდესაც გაჩნდნენ ყაზახები, რომელთაც ატეხეს სროლა, ხალხიდანაც სროლითვე უპასუხეს. ამ შეტაკებამ რამდენიმე კაცი იმსხვერპლა ორსავე მხრით. ყაზახები მიიმალნენ.

მეორე დღეს დილით ადრე ხსენებული მოედანი ჯარებს ეჭირათ.

რაკი აქ დაბრკოლება აღმოჩნდა, სტუდენტობა საჭიროთ შეგროვდა უნივერსიტეტის შენობაში. ამავე დროს ქალაქის განაპირა ადგილას ერთ ქარხანაში შეგროვდნენ მუშები.

ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ სტუდენტობა დაუყოვნებლივ იწყებს უნივერსიტეტის ქუჩაზე ბარიკადების კეთებას, უგზავნის კაცებს მუშებს, რათა ისინი შემოუერთდნენ მათ, რომ იარაღით მოიპოვონ მიტინგების გამართვის უფლება სასურველ ალაგზე.

სწრაფათ აშენებდნენ ბარიკადებს, თხრიდნენ და ჭრიდნენ ტელეფონისა და ტელეგრაფის უშველებელ ბოძებს, გამოყარეს უნივერსიტეტის შენობიდან ყველაფერი, რაც კი შეხვდათ რკინისა ან ხისა, აჰყარეს ქვაფენილების ფილაქნები, ერთი სიტყვით არაფერს არ ზოგავდნენ, რომ შეძლებისამებრ კარგათ გაემაგრებინათ დაჭერილი პოზიციები.

1 საათზე პავლ. მოედანზე გამოჩნდა შავი რაზმი ნაციონალურ ბაირაღით და ხელმწიფის სურათით. დამსწრე საზოგადოებამ ორჯერ წაართვა მათ და დაგლიჯა ხელმწიფის სურათი, მაგრამ შავ რაზმელებს საიდანღაც ისევ გამოჭონდათ სურათი, იდგნენ ბარიკადებიდან მოშორებით და არ მიდიოდნენ; ამ დროს მეორე მხრიდან გაჩნდა 15 ათასი კაცისაგან შემდგარი პროლეტარიატი, რომელმაც მცირე შებრძოლებით დაუბრკოლებლივ მოიშორა ყაზახები და გასწია უნივერსიტეტისაკენ. როდესაც მუშებმა შენიშნეს ნაციონალურ ჰიმნის მომღერალი შავი რაზმი, მაშინვე დასცეს მას თოფები და რევოლვერები. შეშინებულმა შავმა რაზმა დააგდო ქუჩაში ხელმწიფის სურათი და წამსვე გაქრა. სანახევროთ ამართულ ბარიკადებიდან მუშები გადავიდენ უნივერსიტეტის ქუჩაში და შემდეგ უნივერსიტეტის შენობაშიცა.

სტუდენტებმა და მუშებმა დაუყონებლივ აირჩიეს ხელმძღვანელათ ერთი სტუდენტი, რომლის განკარგულებითაც ერთი ჯგუფი სტუდენტები და მუშებისა განაგრძობდა ბარიკადების გამაგრებას. დაინიშნა მეთვალყურეთა შეიარაღებული რაზმიც, მეორე ნაწილი კი შეგროვდა უნივერსიტეტის უდიდეს დარბაზში და ერთი მუშის თავმჯდომარეობით შეიმუშავა მთელი რიგი მოთხოვნილებათა. რადგან მეჯლისის ორგანიზაციის აზრით იარაღი საკმაოთ არ ჰქონდათ, მან გადაწყვიტა აიკლონ ნიკოლოზის მოედანზე მაღ. „სპორტი“. თუმცა გაგზავნილ ამხანაგებს წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ იმათ მაინც გამოამტვრიეს მაღაზიის რკინის კარები და იარაღის უმეტესი ნაწილი მიიტანეს უნივერსიტეტში.

შეტაკების დროს მოკლეს სამი მუშა და ერთი სტუდენტი; მაღაზიის პატრონი და ყაზახების ოფიცერი სასიკვდილოთ დაჭრეს. დაიჭრა 20. ამავე დროს მუშების მეორე ჯგუფი სრულიად დაებრკოლებლათ იკლებს მოსკოვის ქუჩაზე კიდევ იარაღის მაღაზიას.

4 საათზე ქალაქში საომარ დროის წესები გამოცხადდა.

უმთავრეს სობოროს ზარები განუწყვეტლივ რეკებოდა; ეს სობორო აჯანყებულთა ხელში იყო. ხალხი ათასობით გროვდებოდა პავლ. მოედანზე, ბარიკადებთან და აღგზნებულ სიტყვებს ისმენდა; აუარებელი წითელი დროშა შესაფერი წარწერებით თავისუფლათ ფრიალებდა. ერთი ასეთი ბაირაღი სობოროს სამრეკლოს თავზეც ფრიალებდა.

აუწერელი სანახაობა იყო.

საღ. $6^1/_2$ ხმა გავრცელდა, ხულიგანები იკლებენ ებრაელების უბანს და აგრეთვე განადგურებას უპირებენ ლიბერალურ გაზ. „ხარკ. ლისტ.“ რედაქციასაო. მაშინვე შესდგა სამი პატრული 50 კაც., რომელნიც დაუყოვნებლივ გაეშურნენ ებრაელებისა და რედაქციის საშველათ.

საღამოს შებინდებისას მიწყნარდა სიცოცხლე ბარიკადების იქით. მცველები პოზიციებს დარაჯობდნენ. ერთი უფრო უშიშარი სალექციო დარბაზი საავათმყოფოთ გადააქციეს, სადაც რამდენსამე მძიმეთ დაჭრილს სათნოების დანი უვლიდნენ.

ერთ ოთახში მოეთავსებინათ პატარა სტამბა, სადაც ასოთ-ამწყობნი ბეჭდავდნენ პროკლამაციებს. უკვე გამოეშვათ 3 პროკლამაცია — ჯარის, მთავრობის და მოქალაქეთა მიმართ.

ღამე სისხლის ღვრა არ მომხდარა. დილით ადრე დიდ ძალი ხალხი გარს შემოერტყა უნივერსიტეტის მახლობელ ქუჩებს. მაგრამ ყველაგან ჯარი იდგა და არავის უშვებდნენ ბარიკადებისაკენ .

ბოლოს ღენ.-გუბერნატორი დათანხმდა და ნება დართო გაემართათ სახალხო მიტინგი სკობ. მოედანზე. ალყა შემორტყმულთ არ გაჩხრეკენ და არც დაატუსაღებენ, თუ ჯარებს არ ესვრიან; რევოლვერებს და სხვა ფარულ იარაღს არ აართმევენო.

2 ს. სკობელევისა და პავლოვ. მოედნები ხალხით გაიჭედა. ყველა მოუთმენლათ ელოდა ამხანაგების დაბრუნებას. იმავე პავლ. მოედანზე, უნივერსიტეტის ქუჩის მახლობლათ, იდგნენ სამი ესკადრონი დრაგუნებისა და ქვეითი ჯარის საკმაო რიცხვი. ყაზახები არა სჩანდნენ. 3 საათზე ბარიკადებზე გამოვიდნენ ალყა შემორტყმულთა ჯგუფები. ჯარმა გზა დაუცალა. ქალაქში ერთ წუთს საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა... მაგრამ, როდესაც იმ ადგილს ჯარი ჩამოეცალა, ხალხის ხმამ ჰაერი შეარყია. მაშინვე შეიკრა რამდენიმე ათასი ხელი, სამრიგათ შემოავლეს წრე განთავისუფლებულ ამხანაგებს და ამ რიგათ მიიყვანეს ისინი სკობელ. მოედანზე. როგორც გზაში, ისე მოედანზე, ალფრთოვანებით ეგებებოდნენ განთავისუფლებულთ.

მიტინგი 40 წუთ. გაგრძელდა. ტრიბუნები წითელი დროშებით შეამკეს, ახლო მახლო სახლების აივნები, ფანჯრები და თვით მოედანი ხალხით იყო გაჭედილი.

თავმჯდომარის წინადადებით პირველათ იგალობეს სამგლოვიარო მარში მოკლულ ამხანაგების სახსოვრათ: „თქვენ გახდით მსხვერპლი საბედისწერო ბრძოლაში“ და სხ.

შემდეგ წარმოთქვეს რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მუშა-ორატორების ნიჭიერი და პირდაპირი ლაპარაკი.

მიტინგის გათავების შემდეგ ხალხი წყნარათ დაიშალა.

მეორე დღეს 20 ათასი კაცი შეგროვდა. პროფესორმა გრედესკულმა შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა. გადაწყვეტილ იქმნა გაფიცვის გაგრძელება მეორე დღემდე, რადგან ამ დღეს უნდა დაესაფლავებინათ დახოცილები. მეორე დღეს, 14|x, დაასაფლავეს მოკლული ამხანაგები. პოლიცია და ჯარი არ გამოჩენილა. წესიერებას თვალ-ყურს ადევნებდნენ ქალაქში უფრო პატივცემული პირნი—ექიმები, ვექილები, მუშები და სტუდენტები. გამოქონდათ დახოცილთა კუბოები ყვავილებითა და მრავალ გვირგვინით შემკული. მუშათა მუსიკა სამგლოვიარო მარშს უკრავდა. ბევრი შავი და წითელი ბაირაღი ფრიალებდა. პროცესიში 40 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. იმ დღეს დაასაფლავეს წამებულნი. ამას გარდა არის კიდევ მოკლული რამდენიმე სტუდენტი, რომელნიც, მშობლების სურვილით, სამშობლოში წაასვენეს. არიან მოკლული ებრაელები. Ivხვა და სხვა საავათმყოფოში დაჭრილთა რაოდენობა 150 აღწევს; უმეტესი ნაწილი მუშები და სტუდენტებია. სალდათებისა და აფიცრების მხრივაც არიან მოკლულნი და დაჭრილნი. („სრშაულუის“).

—

ბეჭდვითი სიტყვის დამცველი კავშირი შემდეგს აცხადებს:

ვინაიდან ბეჭდვითი სიტყვის დამცველი კავშირი პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება ყოველგვარ სასჯელს, რომელსაც მთავრობა ხმარობს პერიოდულ გამოცემათა წინააღმდეგ, პროტესტს აცხადებს გაზ. „Русская газета“-ს 372 ნომრის კონფისკაციის გამო.

კომმუნისთვის დახოცილები.

ა. არნუსი.

(თარგმანი)

დასასრული *).

ვის შეუძლია დაივიწყოს

დიუვალი და ფლურანსი?

ერთი მათგანი ვარლენივით უბრალო მუშა იყო. მეორე კი ერთ მაღალხარისხოვან ნასწავლის, პროფესორის, აკადემიკოსის და ინსტიტუტის წევრის—ფლურანსის შვილი იყო.

ორთავ ამათ იმავ საქმეს შესწირეს თავი; და ისინი მოუპოვებდენ მას გამარჯვებას, რომ სიმართლისათვის გმირული თავდადება საკმაო იყოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ეშმაკურ ორგანიზაციაზე გასამარჯვებლათ, იმ ჯალათსნურ სახელმწიფოს ორგანიზაციაზე, რომელიც დარაჯობს პრივილეგიებსა და ექსპლოატაციას სიმართლის და ჰეშმარიტების წინააღმდეგ.

ისინი ორივე ახალგაზდები იყვნენ; ორივენი, როგორც დელეკლიუზი და ვარლენი, კომმუნის მთავრები იყვენ. ორივენი სამს აპრილს წინ მიუძღოდენ რაზმებს, როცა უმაგალითო აღტაცების დროს პარიჟმა დააყენა ფეხზე ორასი ათასი კაცი, რომლებსაც ტიერი მთელი საფრანგეთის ჯარით ამცირებდა, კატორგიდან გამოქცეულ ავაზაკებით სავსე-ლით.

გუსტავ ფლურანსი უკვე კარგ ხნიდან იყო ცნობილი, როგორც იმპერიის მოწინააღმდეგე თავისი გაბედული ბრძოლით. როგორც რევოლიუციის რაინდი, იგი გაემგზავრა კანდიაში აჯანყებულ ბერძნებთან ერთათ ოსმალეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ. პარიზში დაბრუნების შემდეგ ის ხელახლა იწყებს ბრძოლას „მარსელიეზა“-ში *) და საჯარო კრებებზე. ალყის შემორტყმის დროს ის ბატალიონის კამანდირათ იყო დანიშნული და ოცდა თერთმეტ ოქტომბერს მან ცადა პარიზის და რესპუბლიკის დახსნა. „სახალხო დაცვის მთავრობამ“, რომელიც მან თავისი სისუსტისა გამო შეიბრალა, დაატყვევა იგი მაზასში, საიდანაც ის ოც და ერთს იანვარს გაანთავისუფლა ხალხმა.

ოთხს აპრილს ის უცაბედათ დაატყვევა ჟანდარმთა რაზმმა, რომელმაც ალყა შემოარტყა სახლს, სადაც მას რამდენიმე წუთს უნდა დაესვენებია. ის ცდილობდა თავი დაეცვა, მაგრამ ამაოთ:—ერთმა კაპიტანმა, სახელათ დემარტემ, ხმლის ერთი დარტყმით ისე გაუპო მას თავის ქალა რომ იქიდან ტვინმა ამოასხა.

მისი გვამი ჩააგდეს კუბოში და ვერსალში გაგზავნეს; აქ მის სანახავათ მოდიოდენ ქალები, ეს „ძუ-ძაღლები“, როგორც მათ გულისწყრომით პოეტი უწოდებს, რომლებიც დარბოდენ დაჭრილთა სისხლის სალოკათ და „თავის აბრეშუმის ქოლგების დაჭრელებული ტარებით“ დატყვევებულთა ჭრილობების საჯიჯგნელათ.

დიუვალი—ეს იყო ინტერნაციონალისტი — უბრალო ჩამომსხმელი. იგი სულ რამდენიმე დღე იყო კომმუნაში, სადაც მყისვე მიიქცია ყურადღება თავის ენერგიით, დინჯი მხნეობით და ვაჟკაცობით.

კრებებზე მე და იმას ერთათ გვიხდებოდა ჯდომა. ცოტა მინახავს იმაზე უფრო სიმპატიური ადამიანი, იშვიათათ შევხვედრივარ ისეთებს, რომლების სახეზედაც ისე ცხადათ ყოფილიყოს გამოხატული დიდსულოვნება, კეთილშობილება და თავგანწირულება, როგორც დიუვალისაზე.

ის მხოლოთ იმიტომ მოევლინა კაცობრიობას, რომ ებრძოლა და მომკვდარიყო. მაგრამ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, იგი ვერ დაივიწყებს მას.

ის თავის რაზმითურთ დატყვევებულ იქმნა შატილონის მაღლობზე ენით გამოუთქმელი თავის დაცვის შემდეგ.

მას და მის რაზმს ალყა შემოარტყეს; ტყვია-წამალი აღარა აქვთ.

— დაგვნებდით და სიცოცხლეს გაჩუქებთ!—ეუბნებიან მათ ჯარების წინამძღოლ პელლეს სახელით.

ისინი ნებდებიან.

მყისვე ვერსალელები იჭერენ რეგულიალურ ჯარის კაცებს, რომელნიც ფედერალისტთა რაზმებში იბრძოდენ და იქვე ჟლეტენ მათ.

შემდეგში მარშალმა მაკ-მაგონმა შეიწყალა მარშალი ბაზენი, რომელიც მხოლოთ იმაში იყო დამნაშავე, რომ მტერს გადასცა ქ. მეცი და თავისი ჯარი.

დანარჩენი ტყვეები ორ წყება ჯარის კაცების მიერ გარშემორტყმულები გაგზავნეს ვერსალში. გზაზე მათ შეხვდათ ვინუა, სწორეთ, ის, რომელმაც სიამოვნებით იკისრა ისეთი სამარცხვინო საქმე—პარიზის გაცემა.

ის ეკითხებათ: „ვინ არის აქ უფროსი?“

— მე ვარ,—წინ წამოწევით უპასუხებს დიუვალი.

*) იხ. „მოგზაური“ № 38.

*) ამ სახელწოდებით იმ ხანებში გამოდიოდა სოციალისტური გაზეთი.

მთარგ.

მის შემდგომ მეორეც წამოიწევს წინ.

— მე დიუვალის შტაბის უფროსი ვარ,—ეუბნება იგი.

რაზმებიდან მესამე გამოდის.

— მე ვოლონტერების შტაბის უფროსი ვარ,—ეუბნება ის და პირველ ორთან ერთათა დგება.

— თქვე ძაღლის წიწილებო! ეუბნება მათ ვინუა,—ეხლავე ყველას ამოგხოცავთ.

დიუვალმა და ორმა მისმა ამხანაგმა არც კი აღირსეს მას პასუხი, თავისით მივიდენ კედელთან, გაიხადეს ფარაჯები და

— გაუმარჯოს კომმუნას! ძახილით დაეცნენ ტყვიით განგმირულები.

ისინი იყვნენ კომმუნის პირველი მოწამენი.

ვერსალელები ეხლა იწყებდენ იმ ბრძოლას, რომელიც მთელი მცხოვრებლების ამოწყვეტით უნდა დასრულებულიყო.

ისინი იყვენ პირველნი და ყველაზე ბედნიერნიც. მოკვდენ გამარჯვების იმედით: ეს ხომ პირველი ბრძოლა იყო. თავის უკან მათ მრისხანე და ძლიერი პარიზი ეგულებოდათ.

მშვიდობით იძინეთ, მეგობრებო, რადგანაც თქვენ არ შემცდარხართ! მოვა დრო და სხვანი აღსდგებიან, რომ განაგრძონ ის საქმე, რომელსაც თქვენ თქვენი სიყმაწვილე და სიცოცხლე შესწირეთ! მოვა დღე, დღე, როცა განთავისუფლებული ხალხი ხმამაღლა გაიხსენებს თქვენს სახელებს, რომელთა წარმოთქმა ეხლა ჩუმათაც არ ძალუძს, მაშინ იგი თავისი ძლიერი ხმით შესძახებს:

— ბატივი და მადლობა თქვენ, ბარველი ჟამის მოწამენო!

ამათთან ერთათ წამებულთა დიდებულ პანტეონში ამოჭრილი იქნება სახელი

ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲔᲚᲘᲡᲐ.

ისიც ახალგაზდა კაცი იყო. დაიბადა 1841 წ. სახელი მან პუბლიცისტიკით გაითქვა.

მზგავსათ დელეკლიუზისა და ფლურანსისა, მან აღიგავა მტევრი ფერხთაგან თავისთა და დასტოვა ბურჟუაზიის ბანაკი, რომ მიეცა თავისი ხელი ხალხისათვის, ეცხოვრა, ეომნა, მოკვდარიყო მასთან და მისთვის.

ვერმორელი იეზუიტების სემინარიაში იზრდებოდა, და მან ყველაფერის ძლია, ასე გასინჯეთ თვით კლერიკალური აღზრდა და იეზუიტის მომწამვლელი გავლენაც კი.

გაზეთ „საფრანგეთის კურიერის“ დაარსებით მან ერთმა პირველთაგანმა ამართა სოციალიზმის დროშა იმპერიის დროს.

ჯილდოთ მას ცილისწამება ხვდა. დიდიხნის განმავლობაში ის თვით რევოლიუციონურ პარტიაშიაც საეჭვო პირათ ითვლებოდა.

როცა ის კომმუნაში აირჩიეს, იმ დროს ის იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ იგი პირველ მოწვევაზედვე გამოცხადდა თავის ადგილას. მას არ ჰქონდა გამარჯვების იმედი და არც ილლიუზიებით იხიბლებოდა, მაგრამ ისე უფიქრელათ წავიდა იქით, საითაც მას პატიოსნება და საშიში მდგომარეობა იწვევდა.

იგი ჩქარა შეიქნა ერთი უმთავრეს ორატორთაგანი და მან გამოიჩინა დაუღალავი მოქმედება. ერთ კრებასაც არ უშვებდა დაუსწრებლათ ქალაქის რატუშაში, იღებდა მხნე მონაწილეობას თავის კომისიის მუშაობაში, როცა პირადად ვერ ესწრებოდა საქმის განხილვას, მაშინ იგი წერდა. როცა საჭიროება მოითხოვდა, იგი მოწინავე რაზმებშიაც დადიოდა. ერთი სიტყვით, ყველგან იყო, სადაც გრძნობდა რომ შეეძლო რაიმე სამსახურის გაწევა და სადაც ხედავდა, რომ იყო რამე გასაკეთებელი.

როცა ვერსალელები პარიზში შევიდენ, ეს ლიტერატორი, ეს ჟურნალისტი, რომელშიც ჯარის კაცის ჩრდილიც არა ყოფილა, რომლის წარსული ცხოვრებაც სულ—მუდამ იარება და გონებრივი შრომა იყო, ეს კაცი ერთბაშათ იცვლება, მონაწილეობას იღებს ბრძოლაში, დააქვს ფურგუნები, ეწევა ბრძანებების გადაცემ-გადმოცემას, ჩნდება ყველგან, სადაც მეტი გაჭირვება იყო, სადაც შესაძლებელი იყო, რომ ყოველ წამს სიცოცხლეს გამოსალმებოდა.

ბოლოს იგი ვარდება მიწაზე, ტყვიით განგმირული.

იგი მიაქვთ და ცდილობენ დამალონ, მაგრამ ნახავენ მას და გოსპიტალში მიაქვთ, სადაც ის ცოტა ხნის შემდეგ კვდება.

რაოდენი ტანჯვა-წვალება უნდა ყოფილიყო ასეთ პირობებში სულის ამოხდენა თავისიანების მოშორებულათ და ვერსალელ მეცხოვნეთა ყარაულებ ქვეშ, სწორეთ იმ დროს, როცა მთელი ქვეყნის პირველი ქალაქი და ისტორიაში უკეთილშობილესი საქმე იღუპებოდა.

რამდენიმე საათის წინ, სანამ ვერმორელი დაიჭრებოდა, მონმარტრთან იარაღის გადატანის დროს, ფერრეს შეხვდა.

— ხედავთ, ფერრე—უთხრა მან გადაკვრით ზოგიერთ სამწუხარო უთანხმოებაზე,—უმცირესობის წევრნი თავის მოვალეობას ასრულებენ.

— უმრავლესობის წევრნიც თავისას ასრულებენ! უპასუხა ფერრემ.

და ორთავ იგინი, რომელნიც უბრალოთ უნდა დახოცილიყვნენ, შორდებიან ერთმანეთს ასეთი ამაყი სიტყვებით.

მაგრამ კალამი მივარდება ხელიდან და სახელები ისევ ისე ირევიან ჩემ ხსოვნაში.

ჩემთვის მეტათ სასურველი იყო ყველა მათზე მელაპარაკნა, მაგრამ რა ვქნა, რომ მე არ შემეძლებოდა იმათი მარტო სახელების ჩამოთვლაც კი.

მაინც, ვიტყვი კიდევ ერთზე—

ᲤᲔᲠᲠᲔᲖᲔ.

ფერრე მე პირველათ გავიცანი პელაზის ციხეში, რომელშიაც ჩვენ ორთავე შეგვყარეს დესპოტიური მთავრობის განკარგულებით.

შეუძლებელია დავიწყება მისი გაფითრებული, გამხდარი ენერგიული აგებულებისა, მისი სახის, რომელსაც გრძელი პირამდი ჩაწვდენილი ცხვირი შუაზე ყოფდა, მისი ჩქარი და შავი თვალების მჭმუნვარე გამომეტყველებისა!

კომმუნაში ის იშვიათათ იღებდა მონაწილეობას კამათში. პოლიციის საქმეებს ის განაგებდა ჯერ რაულ რიგოსთან ერთათ, და შემდეგ მარტო.

ყოველთვის წყნარი, ჩვეულებრივათ ჩუმი, რამდენადმე გულცივი შეხედულობისა, ამ კაცს სუსტ და გამხდარ სხეულში რკინის ბუნება და გმირის სივაჟკაცე ჰქონდა.

იგი იყო მეტათ გრძნობიერი ბუნების კაცი, და იმავე დროს ღრმა დაკვირვებაც არ აკლდა, რომელიც თავისი თავდაჭერილი ენტუზიაზმით და მოუხეშავი ხასიათით მოგვაგონებდათ მეთექვსმეტე საუკუნის იმ რეფორმატებს, რომლებიც თავის მოძღვრებას კოკონის ალშიც კი იმეორებდენ.

სამხედრო საბჭოს წინ, რომელმაც მას უდიერი შეურაცხყოფით სიკვდილი მიუსაჯა, ის დიდებული რამ იყო თავის გულცივი სიწყნარით და ჯალათთა მიმართ ზიზღით, რომელნიც გამარჯვებამ ამ ჟამათ მოსამართლეებათ გადააქცია.

ერთი საათის წინ დასჯამდე, მან მისწერა მოკლე წერილი დას, რომელშიაც აღიარებდა თავის თავს ატეისტათ და მატერიალისტათ.

თორმეტი კვირის განმავლობაში მის შემდეგ, რაც მას განაჩენი გამოუცხადეს, ის ყოველ წამს სიკვდილს ელოდა!

ვერსალელები განგებ აგრძელებდენ დასჯილთა სიკვდილის წინ წამებას და იმედოვნებდენ: ამით შევარყევთ მათ გმირულ სულსო.

მარსელელი გასტონ კრემიე დასჯილ იქმნა ექვსი თვის შემდეგ, რაც მას სიკვდილი გადაუწყვიტეს.

მაგრამ ჯალათნი მოტყუვდენ.

არც ერთს მათგანს თავისთვის არ უღალატნია. ეშვედ, როგორც ქუჩებში, ეგრეთვე სატორის ბოძთან, როგორც უბრალონი, ეგრეთვე ბევრი სახელ-განთქმულნიც, როგორც ბნელ ადგილას, ეგრეთვე საჯაროთ, ეშვედნი უშიშრათ და ქედმოუხრელად დაიხოცნენ.

ფერრეს, როგორც სხვებსაც, თავისი გოლგოთა ჰქონდა.

მისი დედა სასოწარკვეთილების გამო ჭკუიდან შეიშალა და მოკვდა.

მისი ძმა დამწყვდეული ყავდათ, ვერსალის ერთ გალიაში, ვითარცა ჭკუაზე შემცდარი.

მამა მისი ტყვეთ იყო.

მისი ცხრამეტი წლის და დარჩა ამ საშინელ მყუდროებაში, სადაც მუდმივ მკვდრები და შეშლილები ელანდებოდენ, ერთის მხრივ მიწამიყრილ დედის საფლავი იყო და მეორე მხრივ—ახალათ-გათხრილი ღია საფლავი, რომელიც მის ძმას ელოდებოდა.

შეუბრალებელი, ამაყი, შეუდრეკელი, ღირსი თავისი ძმისა, რომელსაც სიკვდილი მოელოდა, ის დღე და ღამე მუდმივათ მუშაობდა, რომ თითონაც ეცხოვრა და დასჯილ ძმისთვისაც ყოველ კვირა ოც-ოცი ფრანკი მიეტანა.

ბოლოს, ოც-და-ხუთ ნოემბერს, დილის ექვს საათზე, ფერრე სატორზე წაიყვანეს როსსელსა და ბურჟუასთან ერთათ,—უკანასკნელი იყო ერთი ღარიბი ჯარის კაცი, რომლის სახელიც საჭიროა გვახსოვდეს.

მთლათ შავებში ჩაცმული, სიგარით პირში, სახით, რომელზედაც არც ერთი ნაოჭი არ მოჩანდა, მძიმე და მხნე ნაბიჯით ის მიუახლოვდა ბოძს, რომელიც მისთვის იყო დანიშნული, ადგა და პირისპირ დაუდგა სიკვდილს.

იგრიალეს თოფებმა. როსსელი და ბურჟუა დაეცნენ; ფერრე ფეხზედვე დარჩა.

მეორე თოფიც გავარდა,—იგიც დაეშვა.

ამ დროს ერთი ჯარის კაცი უახლოვდება მას, ადებს ყურზე შასპოს კონდახს და თავში ესვრის.

იკი სამი სროლით მოკლეს.

ასეთი იყო ეს პირები! ასეთი იყო კომმუნის ხალხი!

ჩვენ გავათავოთ ფერრეს მრისხანე სიტყვებით, რომლებიც მან წარმოთქვა სამხედრო საბჭოში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მისი სიკვდილი „კანონის ძალით“..

ყოველგვარი ახსნა-განმარტება მხოლოთ შეასუსტებს იმათ მნიშვნელობას.

ეს არის გმირის ანდერძი.

ეს არის მასთან ერთათ წინასწარმეტყველება უკვდავ იდეის მომავალ აღდგომაზე, რომლის დახრჩობასაც მის დამცველების სისხლში ამაოთ ცდილობდენ.

„როგორც კომმუნის წევრი, მე იმათ ხელში ვარ, ვინც მაზე გაიმარჯვა. მათ სურთ ჩემი თავი—ინებონ! მე არას დროს არ ვეცდები ჩემი თავი სიწუწკით დავიცვა. მე თავისუფლათ ვცხოვრობდი, ასეთივე მოვკვდები“.

„ერთს კიდე დავძენ: ბედი ცვალებადია. მომავალს ვანდობ მზრუნველობას ჩემს ხსოვნასა და პატიოსნებაზე“

მომავალიც შეასრულებს ამ ანდერძს!

ცეცხლითა და მახვილითა!

ჩვენ შეუბრალებელნი ვართ და არც თქვენგან ვითხოვთ შებრალებას. კ. მარქსი.

თვრამეტი ოქტომბერი ძველი თანამგზავრების გათიშვის დღეა; მეფის მანიფესტს შედეგათ ის მიჰყობა, რომ ერთი წევრი სამუდამოთ ჩამოშორდება „თავისუფლებისთვის მებრძოლ-რუსეთს“ და რევოლიუციის მედგარ მტრების ბანაკში გადავა: ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც დღემდის თანაუგრძნობდა განმათავისუფლებელს ბრძოლას და შეძლების დაგვარათ მხარს უჭერდა დემოკრატიის მეომარ რაზმებს უეჭველათ დაკმაყოფილდება მოპოებული უფლებებით და ზურგს შეაქცევს იმ „მოუსვენარ და საშიშ ელემენტებს“, რომელთათვის პოლიტიკური უფლება მხოლოთ საშულებაა ეკონომიური განთავისუფლებისთვის. დღეს თუ არა ხვალ ბურჟუაზია დაბდგება იმ წვრილმანი კომპრომისების, ვაჭრული შეთანხმების და პოლიტიკური მუხანათობის გზას, რომელზედაც ის იქამდის ივლის, სანამ მეფის მთავრობას არ ჩაეხვევა, რათა ამ სულმობრძავს ახალი გამოცოცხლებული სული ჩაბეროს და შემდეგ თავის მოსისხლე მტერს, პროლეტარიატს, დაუპირდაპიროს... მას არ ძალუძს პოლიტიკური ძალის რევოლუციონურათ დაპყრობა, თვითმპყრობელობის ნაშთების ერთი დაკვრით მოსპობა: მისი მხდალი, სოციალიზმის „საზარელი აჩრდილით“ შეშფოთებული აზროვნება ვერ ცილდება წვრილმანი, მშვიდობიანი რეფორმების საზღვრებს, ის ოცნებობს მხოლოთ პოლიტიკური ძალის გაყოფაზე მეფის მთავრობასა და მის წარმომადგენელთ შორის, ის ოცნებობს მეფისა და „ლიბერალური საბჭოს“ კავშირზე, რომელმაც ერთის მხრით თვითმპყრობელობის დაფლეთილი ქსოვილი ახალი მოდის ნაჭრებით უნდა ააჭრელოს და მეორე მხრით „თავგასულ“ პროლეტარიატს აღვირი ასდოს.

შეგნებული პროლეტარიატი ვერ წავა სამარცხვინო დათმობის და დემოკრატიზმის ღალატის გზაზე. მისი გზა—არის გზა ძლევამოსილი რევოლიუციისა!.. რევოლიუცია წინ გვიდგას; ამაოთ ცდილობს მეფის მთავრობა მანიფესტებით მის თავიდან აცილებას: უბადრუკი, დროგადასული რეჟიმი სიკვდილის წინ უკანასკნელათ ფართხალობს ისტორიული აუცილებლობის კლანჭებში, და მისი სასოწარკვეთილი ბრიალი იმის მომასწავებელია, რომ დღენი ძველი რეჟიმისა უკვე დათვლილია: რევოლიუცია შორს აღარ არის.

მართალია გვიღალატებს ლიბერალური ბურჟუაზია, მაგრამ ეს ღალატი ვერ გადაწყვეტს რევოლიუციის ბედს. შეიძლება კიდევ რავდენჯერმე დავმარცხდეთ კიდეც რავდენჯერმე გაგვიღონ სისხლი, მაგრამ თითეული შეტაკება, თითეული „დამარცხება“ ათასობით შეგვმატებს რევოლუციონურ-მებრძოლთ და ჩვენი საბოლოო გამარჯვება მაინც უზრუნველყოფილია: შეგნებული, სოციალისტური პროლეტარიატის მონაწილეობა ბურჟუაზიულ რევოლიუციაში, ეს ის დიადი ფაქტია, რომელიც შიშის ზარს სცემს დემოკრატიის მტრებს და უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას. პროლეტარიატი მოწინავე მებრძოლათ გარდაიქცა რუსეთის

განმათავისუფლებელ მოძრაობაში: — ამას გრძნობენ ისინიც ვისაც მისი ძლიერი მუჯლუგუნები მოხვდა და ისინიც ვინც მის მეგობრობას ჩემობს.

ამ რევოლუციონურ შფოთიან დროში პროლეტარიატის შეგნება ზღაპრული სისწრაფით იზრდებოდა; მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების წყალობით მან ერთი მხრით სრული ანარქია შეიტანა არსებულ პოლიტიკურ მექანიზმში, საძარცველი შეურყია თვითმპყრობელობას, მეორე მხრით წინ წაუბიძგა რადიკალურ საზოგადოებრივ ჯგუფებს და შეანძრია, პოლიტიკურათ ააღორძინა პროლეტარიატის ისეთი ჯგუფები, რომელთაც ზოგიერთი ,,შორს მხედველი'' პოლიტიკოსება უიმედოთ გაველურებულათ სთვლიდენ. უკანასკნელმა დიდმა შეტაკებამ პროლეტარიატსა და თვითმპყრობელობის შორის მძიმე, განუკურნავი ჭრილობები დააჩინა ამ უკანასკნელს, მაგრამ ამაკე შეტაკებამ დაამტკიცა, რომ პოლიტიკური მასობრივი გაფიცვა არ კმარა იმ მიზნების განსახორციელებლათ, რომელიც წინ დაიყენა შეგნებულმა პროლეტარიატმა.

ეს მიზნები ძირიანათ ეწინააღმდეგებიან მონარქიულ რეჟიმს. ვერც პროლეტარიატი და ვერც სხვა დემოკრატიულ საზოგადოებრივი ჯგუფები ვერ დაყრიან იარაღს, სანამ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე არ აღიმართება ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმი ყველა იმ რეფორმებით, რომელიც აუცილებელია ხალხის საკეთილდღეოთ და პროლეტარული ბრძოლის შესამსუბუქებლათ. პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას ჩვენი მთავრობა საღრჩობელაზე მიყავს დასასჯელათ. და აი ის ამბობს სიტყვას, უკანასკნელ სიტყვას, სიკვდილით დასასჯელისას: 17 ოქტომბრის მანიფესტით ის იძლევა ყველაფერს, რისი მიცემაც მას შეუძლია. ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს მის მიერ დათმობილ „თავისუფლება“. ამიტომ მისი ბედი გადაწყვეტილია... ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს ის გარემოება, რომ მთავრობა ყოველგვარ იარაღს ხმარობს „რევოლიუციის დასაკლავათ“, რომ ის სასიკვდილო ჭრილობებით გაშმაგებული ხოცავს, არბევს, ჯოჯოხეთურ საშუალებებით ტანჯავს „რევოლიუციონურ რუსეთს“. ეს არის ბრძოლა არსებობისათვის, გამწარებული ბრძოლა ცხოვრების შესარჩენათ. დღე ნაგრძნობებიანმა ხალხმა იყვიროს ძალმომრეობის უვარგისობაზე, ,,ხელუხლებელი'' უფლებების გათელვაზე, ზედმეტ ბარბაროსობაზე: ჩვენ მოვემზადოთ კიდევ მეტი ბარბაროსობის, ძალმომრეობის და გაშმაგებული იერიშების ღირსეულათ დასახვედრათ. ჩვენ „ზნეობრივ ბუნებას'' არ აღშფოთებს რეაქციის ძალმომრეობა, მიტომ რომ ჩვენი გზა არის გზა რევოლიუციონური ძალმომრეობისა. ბოიკოტი, პოლიტიკური მასობრივი გაფიცვა, ინდივიდუალური და მასობრივი ტერორი და შეიარაღებული აჯანყება, ერთდროული, დიადი, საყოველთაო აჯანყება!... დიახ, რევოლიუციონური ძალმომრეობის იარაღები კიდევ უფრო ბასრი და მრავალ მხრივი უნდა იყოს, ვიდრე რეაქციის იარაღებია... როცა ძველი საზოგადოება ახალს შობს, ტკივილები ისედაც აუცილებელია: კითხვა მხოლოთ იმაშია, ,,როგორ შევამოკლოთ, შევამსუბუქოთ და გავაერთიანოთ ეს ტკივილები''.

წვრილმანი საქმეების და მხთალი აზროვნების ხალხი გვეუბნება, რომ ჩვენი მოვალეობა დღეს შეიარაღებულ აჯანყებაში კი არა, საზოგადოებრივი აზრის მომზადებაში და თანდათანობით წინსვლაში მდგომარეობს. ამ ღრმა პოლიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ თოფ-ზარბაზნებით და ბასრი ხმლებით შეიარაღებულ რეაქციას შეუძლია «უზარმაზარი» საზოგადოებრივი აზრის დატყვევება, ჩაქოლვა, გათელვა; ავიწყდებათ, რომ ბრძოლა თავგასულ ძალმომრეობასა და საზოგადოებრივ აზროვნებას შორის, ყოველთვის უკანასკნელის დამარცხებით გათავდება, თუ ამ ეთეროვან [illegible] ფიზიკურმა ძალამ არ გაუმაგრა. არა დღეს ჩვენი პირველი მოვალეობაა ფიზიკურათ გავძლიერდეთ, რეაქციაზე მეტი ძალღონე შევიძინოთ.

იგივე ხალხი ამტკიცებს, რომ ქუჩის საბარიკადო ბრძოლა უსათუოთ აჯანყებული ხალხის დამარცხებით გათავდება, მიტომ რომ მთავრობას საუკეთესო სისტემის თოფ-ზარბაზნები აქვს, მატომ რომ თანამედროვე ქალაქის ქუჩები ძლიერ განიერი და სწორია, მიტომ რომ ხალხს შეიარაღება აკლია და სხვა. ამ ჰკვიან ტეხნიკოსებს ალბათ გონიათ, რომ პროლეტარიატი ბარრიკადებს პროსპექტებზე და სასეირნო მოედნებზე გამართავს, რომ ის მთავრობის ჯარის ვინტოვკებს საჩიტე თოფებს დაუპირდაპირებს. ისინი ყოველთვის და ყოვმლგან მხოლოთ რევოლუციის ,,ჯანა ნაწილის'' ცქერით სტკბებიან. პოლიტიკური გაფიცვების დროს მშვიდობიან პროპაგანდას ადიდებენ, შეიარაღებული აჯანყების დროს გულზე ხელდაკრებილ ხალხის გაფიცვას და შემდეგ, როცა შეიარაღებული ხალხი ძველს წესწყობილებას სრულიათ დაამხობს, ისინი რევოლუციის მატიანეში ,,თავგანწირულთა აჯანყებას'' ქება დიდებას შეასხამენ.

გ.

ეროვნული ავტონომია და მუშათა კლასი.

არის ისეთი კითხვები, რომლების შესახებ მუშათა პარტიას არ შეუძლია ქონდეს ორი სხვადასხვა აზრი. ერთი ასეთი კითხვათაგანი არის ეროვნული საკითხი. დღეს განსაკუთრებით გვაინტერესებს ამ საკითხის პრაქტიკული მხარე. რუსეთის სახელმწიფო შედგება სხვადასხვა ერებისაგან, რომლებიც განირჩევიან ერთი მეორისაგან როგორც რიცხვით, ისე კულტურულათაც. რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელმაც ამოდენა ერებს ერთათ მოუყარა თავი და ისინი ერთ ვეებერთელა სახელმწიფოს ფარგალში მოამწყვდია, შესანიშნავათ სარგებლობდა თავის ინტერესების დასაცავათ იმ განხეთქილებით, რომელიც იმართებოდა ეროვნულ ნიადაგზე. სხვადასხვა ერების ბურჟუაზიის შორის თვითმპყრობელობა, როგორც რუსეთის ბატონობის მატარებელი, თითქმის ყოველთვის რუსის ბურჟუაზიის დამცველი და მფარველი გამოდიოდა. გარდა ამისა, მეფის თვითმპყრობელობისათვის მეტათ ხელსაყრელი იყო ერთი ერის გადაკიდება მეორე ერთან, რასაც კლასობრივი ბრძოლის დაჩრდილვა და სრულებით ვადაფუჩეჩება უნდა მოყოლოდა. მხოლოთ კლასსობრივი ბრძოლის შეგნება ხდის ფარდას მეფის მთავრობას და ააშკარავებს მის ნამდვილ სახეს. მაშინ, როცა ეროვნულ ნიადაგზე ატეხილი ბრძოლა ამაგრებდა თვითმპყრობელობას, კლასობრივი წინააღმდეგობის შეგნება ძირს უთხრიდა მას. პოლონელების რამდენიმე თავგანწირული აჯანყება 1830, 1846 და 1863 წწ. გათავდა თვით პოლონელების დამარცხებითა და თვითმპყრობელობის სრული გამარჯვებით. 1863 წლის დამარცხება ისეთი ძლიერი იყო, რომ იმას შემდეგ თვით პოლონელებში ჩამოვარდა ეროვნული ავტონომიის შესახებ დიდი უთანხმოება და მხოლოთ პოლონელების უკიდურესი ნაციონალისტები თუ ოცნებობდენ პოლონეთის დამოუკიდებლობაზე, თორემ სხვა დამორჩილებულ შემოერთებულ ერებს ხომ ამას შემდეგ სულ დაეკარგათ მიდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოების შესახებ. თვითმპყრობელობა კი იმავე დროს ისე გათამამდა ეროვნული კითხვის შესახებ,

რომ 1899 წლიდან, ყოველად უმიზეზოთ, იგი ფინლიანდიის ავტონომიის გაუქმებას შეუდგა, ხელუხლებლობაზე რუსეთის იმპერატორები, ალექსანდრე I პირველიდან დაწყებული, ტახტზე ასვლის დროს ფიცს დებდნენ. ფინლიანდიელები დიდ წინააღმდეგობას უწევდენ თვითმპყრობელ მთავრობას ფიცის ასეთ დარღვევისათვის, მაგრამ მთავრობას თავის განზრახვა სისტემატიურათ გაყავდა, და თუ ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა ხელი აელო ამაზე, ეს მოხდა სულ სხვა მიზეზის გამო, რასაც ეროვნულ ავტონომიასთან სრულებით არავითარი კავშირი არა აქვს.

„შკარაა, რომ ყველა ისინი, ვინც ეროვნულ პრინციპს ჩაბღაუჭებოდენ და თავისი ეროვნული ცხვირის იქით არაფერს ხედვიდენ, თავის თავს თითონ დალატობდენ. ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლის ატეხა—ეს თვითმპყრობელობის გამაგრება იყო, და როგორც ასეთი, თვით ეროვნული პრინციპის ღალატი. მაგრამ იმ დროს, როცა სხვადასხვა ერის „პატრიოტები“ წარსული დროის „დიდებაზე“ და ეროვნულ დამოუკიდებულობაზე ოცნებობდენ, თვით ირერების პროლეტარიატში იღვიძებდა და თანდათან ფეხს იკიდებდა კლასობრივი შეგნება. ეს ნიშნავდა ერთი მხრით ყველა ერის და ყველა ქვეყნის მუშების შორის სოლიდარობის განმტკიცებას და მეორე მხრით თვითმპყრობელობის საფუძვლის დარღვევას. რუსეთის საზღვრებში მომწყვდეულ ყველა ერების პროლეტარიატმა შეარყია და დასცა თვითმპყრობელობა, ე. ი. ის წესწყობილება, რომელიც მთელ რუსეთის პროლეტარიატს, განურჩევლათ ეროვნებისა, სტანჯავდა და ავიწროებდა. დღეს რუსეთის ხალხმა თავიდან მოიშორა ის სულის შემხუთავი წესწყობილება, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ეწოდებოდა. ვინც კი საქმეს ღრმათ ცოტათი ჩაკვირვებულია, იმისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ეს მთელი რუსეთის რევოლუციონური პროლეტარიატის სოლიდარულათ მოქმედების შედეგია. თითოეული ერის პროლეტარიატს რომ ცალკე დაეწყო მოქმედება, რომ მას კარი ჩაეკეტა და ეროვნული ავტონომიის მოპოებისთვის დაეწყო ზრუნვა, როგორც ამას ავტონომიის მომხრეები ქადაგებენ, რუსეთის თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ უძნებელი იქნებოდა. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია თავის პირველი დანიშნულება—რუსეთში დემოკრატიული მართვა-გეგმეობის დამყარება. სანამ ეს განხორციელებული არ არის, რუსეთის პროლეტარიატი ვერ დააკუცმაცებს თავის ძალებს, ამიტომ ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნულ ავტონომიის მოპოებას. ჩვენის აზრით, ასეთი მეცადინეობა მხოლოთ ხელს შეუწყობს რეაქციონურ ძალებს კონტრ-რევოლიუცია გააძლიერონ და მთ მთელ რუსეთში შეაფერხონ ფართო დემოკრატიული წესწყობილების დაფუძნების საქმე. ასეთია მოკლეთ ჩვენი ტაქტიკა დღეს ეროვნულ ავტონომიის შესახებ. ამ გზას ვადგევართ ჩვენ თავიდანვე, და ჩვენის ფიქრით, ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, როცა ასეთი ტაქტიკის შეცვლა ჩვენი პარტიისათვის საჭირო იყოს. აქედან აშკარაა, თუ როგორ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ პოლონეთის სხვადასხვა რევოლიუციონურ პარტიების (გარდა სოციალ-დემოკრატებისა, რასაკვირველია) მეცადინეობას ეროვნული ავტონომიის მოპოებისათვის. ასეთი მეცადინეობის გამართლება არ შეიძლება მუშა ხალხის ინტერესებით. პოლონეთის პროლეტარიატის, როგორც რუსეთის დანარჩენ ერების პროლეტარიატის, ინტერესებისათვის სრულებით საჭირო არ არის დღეს ავტონომია. თუ კი თვითმპყრობელობის დროს პროლეტარიატმა შეძლო თავის ძალების ამ ზომამდე განვითარება, განა დემოკრატიული წესწყობილება უფრო არ შეუწყობს ხელს ამ ძალების კიდევ უფრო გაძლიერებას? შეცდომაა, როცა ყურებს გვიჭედენ იმაზე ლაპარაკით, რომ ავტონომიის მოპოება უფრო გაუადვილებს პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას. იმას კი არ ამბობენ, თუ როგორ უნდა დაუჭდეს პროლეტარიატს ავტონომიის მოპოება, კაიც რომ მას ეს შეეძლოს. ჩვენ არც ის გარემოება გვაშინებს, როცა ავტონომიის მომხრეები ჩვენ ცენტრალისტებს გვიწოდებენ და ადგილობრივი თვითმართველობის მოწინააღმდეგეებათ გვასახავენ. ეს ისეთი ცილისწამებაა, რომელზედაც პასუხის გაცემა არც კი საჭიროა.

ფ. მახარაძე.

„ბუნტი“ კრონშტადტში.

26 ოქტომბერს, სალამოს, კრონშტადტში გაიმართა დიდებული მიტინგი, რომელსაც დაესწრენ მხოლოთ ჯარის კაცნი— მატროსები და ციხას არტილერიის სალდათები. როცა მიტინგი გაჩაღდა, შენობას გარს შემოერტყა შეიარაღებული ჯარი და დაატუსაღა ერთი ნაწილი შეკრებილებისა. მყის შეიკრიბენ მატროსები და არტელისტები და გაექანენ ციხისკენ დატყვევებული ამხანაგების გასანთავისუფლებლათ. ციხეზე ასინი არ მიუშვეს. მაშინ მათ, იარაღით ხელში, ოფიცრების სადგომებში შეცვივდენ. ამბოხებამ საშიში სახე მიიღო. მეამბოხეთა რიცხვი 10 ათასამდე გაიზარდა. დალეწეს და გაანადგურეს „სასტუმრო ეზო“ (гост. дворъ), მეზღვაურ ოფიცერთა საკრებულო და მრავალ აფიცერთა ბინები. მოკლეს ყველა ის აფიცრები, რომელნიც განსაკუთრებით ცუდათ ეპყრობოდა მათ სულათ კაცზე მეტი. დაამტვრიეს არსენალი და სრულიად გაიტაცეს იარაღი, დაატყვევეს ჟანდარმები. შეიარაღებული ხალხის ხელმძღვანელობა მატროსებისა და არტელერისტებისაგან შემდგარმა კომიტეტმა იკისრა. მოვიდა გუსართა ესკადრონი და ორი ბატალიონი გვარდიისა, ორივე მხრით მრავალი მოკლული და დაჭრილები იყო მთელ ქალაქს ცეცხლის ალი მოედო. რეიდზე იდგა ჯავშნიანი გემი „სლავა,“ რომელიც საომრათ იყო დამზადებულა. ყველი ფორტები მეციხოვნე არტილერიის ხელში იყო. სალამოს ხანს თითქო ყოველივე დაწყნარდა, მაგრამ შუაღამისას ისევ საშინელი სროლა ატყდა. . .

27 კიდევ გაგზავნეს ჯარი კრონშტადში. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. ჯარმა თოფ-იარაღი და ტყვიის-მტყორცნელები აჯანყებულებს გადასცა. მდგომარეობა ბევრათ უფრო საშიში შეიქნა. 27 და 28 ოქტომბერს კრონშტადტი აჯანყებულთა ხელში იყო ფაქტიურათ. ჯარს თან და თან უმატებდენ და როგორც იყო აჯანყება ჩაახრჩეს. 300 მატროსი უნდა დახვრიტოს მთავრობამ, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, სამღვდელოებას მღვდელი პეტრო-პეტროვას მეთაურობით გადაუწყვეტია შუამდგომლობის აღძრა მეფის წინაშე, რომ დამნაშავე მატროსებს, სიკვდილით დასჯა აპატიონ. შუამდგომლობის აღძრა პეტერბურგის მიტროპოლიტს უკისრია. რით გათავდა ეს ცდა—ჯერ არ ვიცით.

არეულობა თავდაპირველათ ასე დაწყებულა: 23 ოქტომბერს, სხვა და სხვა ჯარის კაცებს კრება გაუმართავთ მთავრობის ნება დაურთველათ. კრებას დასწრებია მატროსები, არტილერისტები, საპირორები და ნავთსადგურის მუშები. კრებას გადაუწყვეტია მოითხოვოს შემდეგი: საჰველის გაუმჯობესობა, ზრდილობიანი მოპყრობა, სამსახურის ვადის შეკირება 5 წლამდე, ტუსაღ-ამხანაგთა განთავისუფლება და სათადარიგო ჯარის კაცთა დათხოვა. 24 და 25 ოქ-

ტომბერს, აქა იქ სროლა მოისმოდა, თურმე, ხოლო 26 ოქტომბერს ნამდვილი აჯანყება დაიწყო.

ᲒᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

,,ცნ. ფურცლის'' № 2941-ში ერთი ფრიად ახირებული არხეოლოგიური, დოკუმენტია დასტამბული. ეს დოკუმენტი, მართალია, არ ეკუთვნის ძველ საუკუნოებს, მას არ მიკარებია წარსულთა დროთა მტვერი, იგი არ არის საინტერესო არც პალეოგრაფიული, არც ფილოლოგიური და არც არქეოლოგიური მხრით. რა დოკუმენტი უნდა იყოს ესო,—უეჭველათ იკითხავს მკითხველი. საქმე ის არის, რომ გარეგანი შეხედულობით ამას ვერავინ მიხვდება, თუ არ გადაიკითხა. სათაურათ ამ დოკუმენტს აწერია ,,გლეხთა კავშირი'' და შიგ ჩვენი ნაცნობ ფედერალისტ-ავტონომისტების ,,პროგრამაა'' მოქცეული. მიუხედავათ იმისა, რომ ეს დოკუმენტი სულ რამდენიმე თვისაა, იმას მაინც ძველი დაპოჭსებული არქეოლოგიური ნაშთის სუნი უდის. ჩვენ ვერ გაგვიგია, რა მხრით ეჩვენა პატივცემულ რედაქციას ეს დოკუმენტი საინტერესოთ, ალბათ იმიტომ, რომ შიგ საქართველოს ,,ავტონომია ანუ სახელმწიფო თვითმართველობაა'' მოხსენებული, თორემ სხვა მხრით იგი უსუსურ ბავშის ტიტინს მოგაგონებს, და მეტს არაფერს!

ᲑᲐᲣᲛᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ.

ბაუმანის დასაფლავება დიდებულ პოლიტიკურ მანიფესტაციას წარმოადგენდა. პროცესია ასი ათასი კაცისაგან შედგებოდა. ასმა ათასმა კაცმა სცა პატივი თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულს.

საიმპერატორო ტექნიკურ სასწავლებელში დილიდანვე თავი მოიყარეს მუშებმა და მოსწავლეებმა, რომლებმაც შეადგინეს მებრძოლთა რაზმი პროცესიის შავი რაზმისგან დასაფარავათ. იქვე მოიყარეს თავი მუშებმა, რომლებსაც დროშები და ბაირაღები მოჭონდათ. სოციალ-დემოკრატ მუშების თითო რაიონს წითელი დროშები მოჭონდა. ჩვენ შევამჩნიეთ სხვადასხვა წარწერა: მაგ. «გაუმარჯოს შეერთებულ სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიას!» «ვითხოვთ დამფუძნებელ კრებას!» „თავისუფლება—დიდება თავისუფლებისთვის მებრძოლს“ და სხვ. კუბოს უკან უთვალავი გვირგვინები მოჭონდათ. პროცესია დაიძრა შუადღის 1 საათზ. წინ და უკან პროცესიას მიყვებოდა მსუბუქი რაზმი წითელი ჯვრის ნიშნებით სახელოზე.

სულ უკან მიდიოდა წითელი ჯვრის სამი ეტლი. ამ უშველებელ პროცესიას ორი მხრით იცავდა ხელი-ხელ ჩაკიდებულ ხალხის ჯაჭვი. ამ უკანასკნელთა რიცხვში იყვნენ ბევრი სალდათები და აფიცრები. წესიერების დასაცველათ მიღებული იყო სხვადასხვა ზომები, და მართლაც სამაგალითო წესიერება სუფევდა. პროცესიის თავში წეს-რიგის დამცველებს მიჭონდათ 2 ჯიხზე ამართული დროშა შემდეგი წარწერით: „წესიერებას მოქალაქენი იცავენ!» მათ მიყვებოდა ცალკე ჯგუფები დროშებით ხელში. დროშები, წარწერები და გვირგვინები 150-ზე მეტი იქნებოდა. პროცესია, სოც.-დემოკრატიულ პარტიის ორივე ფრაქციის გარდა, მონაწილეობას იღებდენ სოც.-რევოლიუციონერების, კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიების წარმომადგენელნი და მრავალი გვარები, რომელთაც სურდათ გამოეცხადებიათ თანაგრძნობა თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულებისათვის. თითეულ პარტიას ცალკე დროშები და წარწერები ჭონდა. ხალხი რამოდენიმე ჯგუფებათ იყო დაყოფილი, თითო ჯგუფში 300-მდე კაცი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უველას წინ მიჭონდათ წითელი ხავერდის დროშა რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, მოსკოვის კომიტეტის. კუბო პარტიის წევრებს მიჭონდათ ხელით; პროცესიის გამგეც ისინი იყვნენ. კუბო ერთხან მიჭონდათ აფიცრებს და სალდათებს, რომლებიც პარტიის დროშასთან მიდიოდენ. სახლებიდან პროცესიას წითელი ბაირაღებით ეგებებოდენ. პროცესიას სულ უფრო და უფრო ემატებოდა ურიცხვი ხალხი. შეუძლებელია გამრიყვლიოს კაცმა, რამოდენა ხალხმა გააცილა ბაუმანი სამუდამოთ განსასვენებელ ბინამდის. სანამდიც თვალი კი გადასწვდებოდა სულ ხალხი მოჩანდა და მრავალ წითელ ბაირაღებს ფრიალი გაჭონდა 100 ათასზე ბევრით მეტი იქნებოდა ხალხი. —,,მთელი მოსკოვი აქ არის''-ო ამბობენ ხალხში. თეატრის მოედანზე ხალხს უშველებელი ჯგუფი შეუერთდა. სალდათები და აფიცრები, რიცხვით 30 კაცი წინ წამოვიდენ. ხალხი იმათ აღტაცებული ურას ძახილით მიეგება. სადღაც ხალხში ბევრი სამხედრო პირი ერია, სხვათა შორის ერთი ჰაღარა გენერალი. იურიდიულ კორპუსის უნივერსიტეტთან, სადაც წითელი ჯვრის მედიკური პუნქტია, ორი დროშა იყო, გამოფენილი.—შავი და თეთრი, ორივე ძირს დაეშვა კუბოს წინ და პროცესიას შეუერთდა. მთელი გზა სიმღერით გაიარეს. მღეროდენ ,,სამგლოვიარო მარშს'', ,,მარსელიეზას'', ,,ვარშავიანკა''-ს ,,წითელ დროშას'' და სხვ. როდესაც კუბო კონსერვატორიას მიუახლოვდა მოისმა კონსერვატორიის მოსწავლეთა ორკესტრის ხმა; მოსწავლეები უკრავდენ სამგლოვიარო ,,მარშს''. ორკესტრი პროცესიას შეუერთდა და სასაფლაომდის მიყვა მუსიკით. გზაში კიდევ რამდენიმე გვირგვინი მოიტანეს. კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიისგან, მოსკოვის სახელმ.-რკინის გზის მუშათაგან, ტუსაღებისგან და სხვ. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდენ უთვალავი პატარა უბრალო გვირგვინები გრძელ ჯოხებზე წამოცმული, რომლებიც ალბათ სხვადასხვა ფაბრიკების მუშებისგან იყო. სასაფლაომდის 9 საათზე მიაღწიეს. სასაფლაოზე მარტო პარტიის წევრებს უშვებდენ. დანარჩენი ხალხი გალავან გარეთ იცდიდა.

განსვენებული ბაუმანის საფლავს მებრძოლი რაზმი შამოერტყა გარს. შუაში ბაირაღები და გვირგვინები იყო. სასაფლაო ჩირაღდნებით, ფარნებით და უბრალო სანთლებით იყო განათებული. ჭირისუფალის და ცოლის გამოთხოვების შემდეგ წითელი კუბო საფლავში ჩაუშვეს და ხალხმა ჩუმათ ქუდები მოიხადა. განსვენებულის ერთი ამხანაგი აბაღლებულ ადგილზე ავიდა. ,,დღეს ჩვენ მიწას ვაბარებთ პროლეტარიატის ინტერესებისთვის ერთ საუკეთესო მებრძოლთაგანს. მთელი თავისი სიცოცხლე ის იბრძოდა და მხოლოთ ცხე და ციმბირი აწყვეტინებდა მას ამ ბრძოლას. როგორც კი თავს გამოჰყოფდა ციხიდან იმ წამშივე მიადგებოდა საქმეს“, თქვა ორატორმა. ორატორმა აღნიშნა თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ბაუმანს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინაშე; სხვათა შორის ბაუმანი მოსკოვის კომიტეტმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიათ მე-2-რე სიეზდზე თავის წარმომადგენლათ გაგზავნა. ამ ორატორის შემდეგ განსვენებულის ცოლმა ილაპარაკა. ,,თქვენ ხედავთ ქალს, რომელმაც დაკარგა ქმართან ერთათ მეგობარი, ამხანაგი, რომელშიაც ის დახმარებას ჰპოვებდა ბრძოლის დროს. მე ახლა ვტირი, როგორც ადამიანი, რომელმაც თავისი პირადი ცხოვრების ერთი ნაწილი დაკარგა. ამ წუთში კი მე მხოლოთ მოქალაქე ვარ და სხვებისთვის მინდა ცხოვრება. მკვლელების მოსყიდველ მტრებს ამ მკვლელობით ჩვენთვის ენება უნდოდათ,

მაგრამ რა გამოვიდა? პროლეტარებისგან შემდგარი დიდძალი ხალხი ქუჩაში გამოვიდა, დაეწყო და დიდებული მანიფესტაცია მოახდინა. პროლეტარიატმა მძლავრათ შეიბერტყა ფრთები და მტარვალებს მთელი თავისი სიძლიერე აჩვენა". სასაფლაოდანაც მწყობრათ წამოვიდა ხალხი. თავში ხალხი მიდიოდა, მერე მუშები და ბოლოში კომიტეტი, ხავერდის დროშით. აქეთ-იქით მებრძოლი რაზმები იყო გამწკრივებული. აქა-იქ ანთებული ჩირაღდნები მიქონდათ. ხალხი სულ უფრო და უფრო კლებულობდა. 3000 კაცი ჩუმათ მიუახლოვდა უნივერსიტეტს. არც სიმღერა ყოფილა და არც დროშები. ერთი ქუჩის კუთხეში, ღამის 11 საათზე ხალხს, რომელიც სრული სიჩუმით და დამშვიდებულათ მიდიოდა, ზანტიდან თოფები დაუშინეს. დაშავდა 50 უდანაშაულო კაცი.

ნახევარ საათის წინ ტვერის მოედნიდან გამოვიდა ბრბო, რომელიც 1000 კაცისაგან შედგებოდა და უნივერსიტეტისკენ გაემართა. ბრბოს ხელმწიფის სურათი და უშველებელი ნაციონალური დროშები მიქონდა და «ურას» ძახილით ახდევინებდა ქუდებს გამვლელ-გამომვლელს. ბრბო უშველებელი ჯოხებით იყო შეიარაღებული. ჯოხებს ბოლოში ლურსმანი ჭონდა. ბრბომ მანეჟთან შეუხვია და უნივერსიტეტთან და მანეჟის კარებთან გაჩერდა. ეს ჩრდილში დამალული პოზიცია რომ დაიჭირა, ბრბომ სული განაბა, თითქო რაღაცას ელოდა. როგორც ლაპარაკზე ეტყობოდათ, სტუდენტებს ჩაუსაფრდენ. ამ დროს სასაფლაოდან დაბრუნებული ხალხი უნივერსიტეტს მიუახლოვდა. როგორც მანჟეს დაუპირდაპირდენ, ასტყდა სროლა. სროლაზე ეტყობოდა, რომ დახელოვნებული მსროლელები ისროდენ. ამ მოულოდნელმა სროლამ ხალხი დააბნია, მოისმა ყვირილი; თხოულობდენ მებრძოლ რაზმს რომელმაც წინ წაიწია, მარა გვიან ღა იყო და ბევრი იქვე დაეცა, დანარჩენები უკანვე გარბოდენ. შავი რაზმის ერთმა ნაწილმა ხალხს მეორე მხრიდან მოუარა და ორი მხრიდან ასტყდა სროლა. ბევრი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა იმ ღამეს. უმეტესი ნაწილი მუშები და მერე მოსწავლე ახალგაზდობაა დაშავებული. („რუს. ვედ.")

მიტინგები უარსში.

(ოქტ. 21—25). ძველი წეს-წყობილების დანგრევას არ შეიძლებოდა შეუმჩნეველად გაევლო ყარსშიაც. ას წლობით დაჩაგრულმა ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა, როცა რუსეთის საუკეთესო ნაწილის გამარჯვების ამბავმა ჩვენამდისაც მოახწია.

17 ოქტ. მანიფესტის დაუყოვნებლივი შედეგი იყო აქაურ ციხეში დამწყვდეულ 32 პოლიტიკურ დამნაშაულეთა განთავისუფლება (ოქტომბრის 20-დინ), რომელნიც გამოგზავნილნი იყვენ აქ ბაქოს გენ.-გუბერ. განკარგულებით დაბრალდებოდათ ის, რომ ეკუთვნოდენ რ. ს.-დ. მ. პარტიას. 21 ოქტ. დილიდანვე მთელი ქალაქი ღელავდა. ციხიდან გამოშვებულნი ჯგუფ-ჯგუფათ დადიოდენ ქალაქის ქუჩებში, კრებდენ ხალხს და უხსნიდენ გამარჯვების მნიშვნელობას და იმ მიზანს, რომელსაც ემსახურება სოციალ-დემოკრატია. საათის 11-ზე ქალაქის ბაღი სამსე იყო ხალხით, იყვენ სალდათები და მალაკნები.

ჰაერში გრიალი გაჭონდა: «კეცე!» „კორჩი"; ორატორები ლაპარაკობდენ ჯერ-ჯერობით სომხურათ და რუსულათ. სიტყვების შემდეგ განთავისუფლებულთ დახურეს მიტინგი „მარსელიოზით" „ინტერნაციონალით" და სხვა რევოლიუციონურ სიმღერაით. მიტინგის ბოლოს გავრცელდა რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ ჯგუფის პროკლამაციები—სომხურ და რუსულ ენებზე.

ამ დღეს პოლიცია არა ჩანდა. მეორე დღეს, შაბათს, ოქტომბრის 22 ს, მიტინგი იყო დანიშნული იმავე ალაგას საათის 12-ზე; დილიდანვე ხალხს გაემსო ბარე [illegible] განთავისუფლებულ ს. დ-ბი მღეროდენ განუწყვეტლივ რევოლიუციონურ სიმღერებს. 12-ზე გაიხსნა მიტინგი. პირველათ რევოლ. მოძრაობის ისტორიას შეეხენ; დაასურათეს ის გმირული ბრძოლა, რომელსაც ეწეოდენ ნაროდოვოლცები და ს.-დემოკრატები რუსეთში. შემდეგ ილაპარაკეს დაწყებულ რევოლიუციის და კონტრორევოლ., ნაციონალ. კითხვის ჭ ახალ კონსტიტუციის შესახებ. საათის 2-ზე მოვიდა პოლიცმეისტერი და გამოაცხადა, რომ მიტინგი უკანონოა, რადგანაც წინდაწინვე ნებართვა არ არის აღებული და წაიკითხა შირინკინის ტელეგრამა, რომ კრებები შეიძლება მხოლოთ იმ პირობით თუ ორატორების გვარებს შეატყობინებენ პოლიციას. ხალხმა ყურიც არ ათხოვა მას და ისიც იძულებული გახდა მიემართა გუბერნატორისათვის. გუბერნ. ბძანებით ჯერ ბაღს შემოარტყეს ყაზახები და მერე თხოვეს ხალხს დაშლილიყო, მაგრამ ამაოთ: გუბერნატორი იძულებული იყო დაეთმო ხალხისთვის და პოლიცია მოაშორა. (ჯრ. № 45.)

ა ზ.

დონის როსტოვის საპყრობილედან *).

ამ ჟამათ როსტოვის საპყრობილეში 50 ქართველი იმყოფება, ადმინისტრატიული წესით გამოგზავნილი გორის მაზრის სხვა და სხვა ადგილებიდან. გადასახლებას ამნაირი წესი უკვე გაუქმებულია ახალი სისხლის სამართლის დებულებითაც. ყველა ესენი გამოგზავნილია სრულებით მოულოდნელათ, მოუმზადებლათ შიშველ-ტიტველნი და მშიერ-წყურვალნი. ამათგან 39 გადასახლებულია ოლონეცის და 11 უფის გუბერნიაში. უმეტესობა ამათში ხანში შესული, მოხუცებული გლეხობაა. ამნისტიის ძალით მთელ რუსეთში გაანთავისუფლეს პოლიტიკური დამნაშავენი, მაგრამ ბრძანებაში ამნისტიის შესახებ არის ასეთი მუხლი: „ამნისტიის სისრულეში მოყვანა კავკასიაში მინდობილი აქვს ნამესტნიკს ხალხის დამშვიდების მიხედვით". აი ამ მუხლის ძალით იჩაგრება 50 კაცი. კავკასიის ადმინისტრაცია, რომელიც დამნაშავეა იმათ გადასახლებაში, ალბათ ხელმძღვანელობს ზემო აღნიშნულ მუხლით და ყურადღებას არ აქცევს როსტოვში დამწყვდეულ ქართველებს. ადგილობრივი ადმინისტრაცია კი თავის თავს ვალდებულათ არა თვლის იზრუნოს ამათ ბედზე. კავკასიელებისათვის კი, როგორც ვიცით, მეტათ მავნებელია რუსეთის ნაკლული ჰავა. დღეს ისინი საპყრობილეში მეტად შეწუხებულნი არიან: არ გააჩნიათ არც ტანთსაცმელი და არც საკმაო საჭმელი; ისინი სულ ავათ-მყოფობენ. კავშირთა კავშირის ადგილობრივ განყოფილებაში შეტანილ იქნა სამი განცხადება: 1) წინადადება მიეცეს გრაღონაჩალნიკს, რომ აღარ გაგზავნოს ისინი დანიშნულ ადგილისაკენ; 2) კავშირთ-კავშირის თფილისის ბიუროს მიმართოს თფილისის ქალაქის საბჭოს, რათა მან მოსთხოვოს ნამესტნიკს იმათი განთავისუფლება; 3) გამოქვეყნებულ იქნას ადგილობრივ პრესაში მოწოდება, რომ საზოგადოებამ დაუყონებლივ დახმარება აღმოუჩინონ ზემო აღნიშნულ 50 კაცს და საშუალება მისცენ სამშობლოში დასაბრუნებლათ.

*) ეს წერილი დაწერილია რუსულათ, ჩვენ ვბეჭდავთ მას უცვლელათ, წერილის ავტორი თხოულობს, რომ ეს ამბავი ყველა ადგილობრივ გაზეთებმა გადაბეჭდოს. რედ.

რედ.-გამომც. ი. როსტომაშვილი.

სტამბა ექვ. ივ. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხის სასულიერო სემინარიისა.